# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 29 მარტი 2007 №69 (2992) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გასაგებია, შოტლანდიაში ბოლო წუთებზე წაგებამ ნირი წაახდინა, გასაგებია, 10:0-იც აღარაფერს ნიშნავს, მაგრამ...



# სულ ეგა ხართ?!

უმზეო ფარერელებს სახლში და სკოლაში მეტხანს ბურთაობის საშუალება რომ ჰქონდეთ, მერე სად მივდივართ?!

1 აპრილიდან კომპანია „ქართული ჩოგბურთი" აცხადებს ბავშვთა მიღებას 6 წლის ასაკიდან. იან ჰომერის სახელობის საჩოგბურთო კომპლექსში თქვენ სპორტის ამ სახეობის ანბანთან გაცნობაში პროფესიონალი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტები დაგეხმარებიან. ადგილები შეზღუდულია. ჯგუფების დაკომპლექტება 31 მარტამდე.
მისამართი: ლუბლიანას 18; ტელ: 54 00 77; 54 00 39

საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

# თევზაობა დამდგარ წყალში

## სამი გოლი, სამი ქულა და მესამე აგურიც გვჭირდება

თბილისი. 28 მარტი. 20 საათი. ეროვნული. 23 000 (ტევადობა 55 000)

### საქართველო 3:1 ფარერები

1:0 სირაძე (26), 2:0 იაშვილი (45), 2:1 რ. იაკობსენი (56), 3:1 იაშვილი (90+)

| | |
|---|---|
| საქართველო: ლომაია, შაშიაშვილი, სალუქვაძე, ცქიტიშვილი, კვირკველია, კობიაშვილი (მენთეშაშვილი 61), კანკავა, მუჯირი, იაშვილი, დემეტრაძე, სირაძე<br>სათადარიგონი: რევიშვილი; ელიავა, კობახიძე, აშვეთია, გრიგალაშვილი, ბურდული<br>მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი | ფარერები: მიკელსენი, ოლსენი, იორმუსი, დანიელსენი, რ. იაკობსენი, ბენიამინსენი, ტომასენი, ბორგი (სამუელსენი 89), კ. იაკობსენი, ფლოტუმი (ჰოლსტი 42), იოჰანესენი<br>სათადარიგონი: იონსენი; იოენსენი, ჰანსენი, ჰორგი, ნოლსო<br>მწვრთნელი: მარტინ ოლსენი |

გაფრთხილება: კობიაშვილი (55), ბენიამინსენი (57, 62), სირაძე (62)

გაძევება: ბენიამინსენი (62)

მსაჯები: პ. სალი; ო. სოკოლოვი, რ. დუზმამბეტოვი; კ. ხოლმატოვი (ყველა ყაზახეთი)



ილია ნანობაშვილი

იყო რუსეთში ასეთი ანეკდოტი:

— რა უნდა ვქნათ, მომდევნო მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენმა ნაკრებმა ერთი თამაში მაინც რომ მოიგოს?

— შემადგენლობა იგივე უნდა იყოს...

— ვისი, ჩვენი?

— არა, კამერუნის...

თუ გახსოვთ, 1990 წელს საბჭოთა ნაკრები, 1994-ში კი რუსეთი ყველა თამაშს აგებდა და მხოლოდ კამერუნს ანადგურებდა. ახლა ჩვენ ვიკითხოთ... რა უნდა ვქნათ, რომ საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატზე გავიდეს? ჯგუფში სულ ფარერები უნდა გვყავდეს, თორემ ასეთი თამაშით, გუშინ რომ აჩვენა საქართველოს ნაკრებმა, ლიტვასთან მოგებაც კი საოცნებო იქნება.

იოჰან ბორგსა და კრისტიან ჰოლსტს ვუმადლოდეთ, რომ სირცხვილს ავცდით. ამათ ისეთი მომენტები გაანიავეს გიორგი ლომაიას კართან, საშუალო დონის ფორვარდი ათიდან რვას მაინც რომ გაიტანდა. ეს ორივე ხიფათი 2:1-ზე შეიქმნა — როგორია, ათკაციანი ფარერელ მოყვარულთა ნაკრები წკიპზე რომაა ანგარიშის გათანაბრებასთან. ჰოლსტის მომენტი 86-ე წუთზე იყო, ხოტორა ფარერელი ლომაიასთან 7-8 მეტრის სიახლოვეს გაჩნდა და ბედად, მეკარეს მოარტყა.

საქართველომ მოიგო და ცხრილში ერთი ადგილით აინაცვლა, მაგრამ მხოლოდ შედეგით შევხედოთ გუშინდელ მატჩს? გასაგებია, რომ - ფარერელთა სისუსტემ ჩვენების კონცენტრაციაზე ამოქმედა. გასაგებია, რომ ტრავმების ეპიდემია გვჭირდა და ნაკრებში მხოლოდ სამი „სუფთა" მცველი იყო, მაგრამ ნამეტანი მოუვიდათ კლაუს ტოპმიოლერის შეგირდებს: დადგნენ, თითქმის არ ინძრეოდნენ... ალბათ, შოტლანდიასთან მარცხის შემდეგ ხასიათიც წახდენილი ჰქონდათ, მონდომება არ იგრძნობოდა.

ტოპიმ ძირითადში ხუთი ისეთი ფეხბურთელი გაამწესა, შოტლანდიასთან რომ არ ყოფილან, 4-3-3 სქემას დაუბრუნდა, სადაც ცენტრფორვარდად დავით სირაძე იყო, სიღრმიდან კი გიორგი დემეტრაძე და ალექსანდრე იაშვილი ამოუყენა, რომლებიც ხშირად იცვლიდნენ ფლანგებს. ლევან ცქიტიშვილს ადრე ერთი-ორჯერ უთამაშია მცველად, გუშინ კი ერთხელაც ვიხილეთ ამ პოზიციაზე, თუმც ეს იძულებითი იყო — მეოთხე უკანახაზელად სხვას ვერავის დააყენებდა ტოპმიოლერი.

ქართველები პირველივე წუთებიდან მეტოქის ნახევარზე დასახლდნენ და საწყის ათ წუთში ორჯერ უჩხვლიტეს იაკუპ მიკელსენის კარს: ალექსანდრე იაშვილს მეკარემ აუღო, დავით მუჯირმა კი შორიდან ოდნავ ააცილა. ფარერელები ერთთავად დაცვაში იდგნენ და ცოტა ხანში ისინი ძელმა გადაარჩინა — დავით სირაძის ეფექტური თავურის შემდეგ.

სირაძემ მაინც გაიტანა: იაშვილი პირისპირ გადიოდა მეკარესთან, მცველები წამოეწივნენ, კარში არ დაარტყმევინეს, მაგრამ ბურთი მაინც ვერ მოიგერიეს და აუე-ს ფორვარდიც დროულად გაჩნდა საჭირო ადგილას — 1:0.

ტაიმის ბოლო წუთზე კი თავად „იაშიმ" შეაგდო: ლევან კობიაშვილმა დემეტრაძის დაფარული პასის შემდეგ მოძებნა იაშვილი და მანაც ხუთიოდ მეტრიდან ორამდე გაზარდა ანგარიში. მეორე ტაიმში ჩვენებისგან გოლაობის გაგრძელებას ველოდით, მაგრამ თურმე სადა ხარ — 56-ე წუთზე სორენ ოლსენმა როგვი იაკობსენს ფეხზე დაასვა ბურთი და 2:1. ამ ეპიზოდში ჩვენს დაცვას ჩაეძინა და მატჩის ბოლომდე ვერ გამოვიდა ბურანიდან.

საინტერესოა, რა მოხდებოდა, კუნძულელები ათი კაცით რომ არ დარჩენილიყვნენ. ფრედი ბენიამინსენმა სირაძესთან უხეშობისთვის მეორე ყვითელი მიიღო და 28 წუთი რიცხობრივ უპირატესობას ვფლობდით, მაგრამ აკი ვთქვით, ფარერელები წკიპზე იყვნენ მეორე. გოლის გატანასთანო.

ქართველები ბურთს კი აკონტროლებდნენ, მაგრამ ძალიან უფხოდ თუ შეუტევდნენ ხოლმე. მიკელსენს მუჯირის, კანკავასა და დემეტრაძის არცთუ რთული დარტყმულების მოგერიება მოუხდა. მერე იყო ფარერელი ჰოლსტის იდეალური მომენტი, გული რომ გადაგვიქანა, თამაში კი იაშვილის გატანილი პენალტით დასრულდა — დემეტრაძემ ფლანგური რეიდის შემდეგ პენალტი გამოიმუშავა, ფრაიბურგელმა კი 3:1 აანთებინა ტაბლოზე.

საინტერესოა, რომ ტოპმიოლერმა მხოლოდ ერთი ცვლილება გააკეთა და როგორც ნამატჩევს გვითხრა, ისიც იძულებითი ყოფილა. მოკლედ, კიდევ კარგი, ფარერელებს გოლების გატანა ტბიდან თევზის ამოტანასავით არ ეხერხებათ...



### პრესკონფერენცია

*მარტინ ოლსენი:* საყურებლად კარგი თამაში იყო. შარშან საქართველოსთან დიდი ანგარიშით წავაგეთ, სხვა მატჩებიც პირწმინდად დავთმეთ, თუმცა ნელ-ნელა ჩემი გუნდი პროგრესირებს. დღევანდელი თამაშით კმაყოფილი ვარ, მასპინძლებმა მძლავრად შემოგვიტიეს, მაგრამ მომენტები ჩვენც გვქონდა და ქულის ალებაც შეგვეძლო.

*კლაუს ტოპმიოლერი:* ცუდად ვითამაშეთ და კრიტიკას ვიმსახურებთ, მაგრამ მაინც მოვიგეთ. გაგვიმართლა, რომ მეორე გოლი არ გავუშვით, ისე კი, ფარერებმა კარგად წარმოაჩინეს თავი — საერთოდაც, მათ ლიტვასთან ბოლო წუთზე გაშვებული გოლით წააგეს, უკრაინასთანაც იბრძოლეს.

...ვერ ამიხსნია, რატომ დავკარგეთ სიმშვიდე მეორე ტაიმში. მაინც დარწმუნებული ვარ, რომ შემდეგ თამაშს ლიტვასთან უკეთ ჩავატარებთ. გუნდის შენებისას პრობლემები ხშირია და მაგალითად გერმანიას მოვიყვან: მუნდიალამდე გერმანიამ 1:4 წააგო იტალიასთან და ბევრი ამბობდა, მსოფლიოს ჩემპიონატზე ჯგუფიდანაც ვერ გავლენო, მაგრამ ნაკრები ნელ-ნელა დაიხვეწა, დრო გამოიყენა.

...კობიაშვილმა შესვენებაზე მთხოვა შეცვლა, ფეხი ვიტკინეო. მე ვუთხარი, 15 წუთში შეგცვლი-მეთქი. თანაც კობის „შალკეს" რამდენიმე დღეში უპრინციპულესი მატჩი აქვს „ბაიერნთან".

...ლიტვასთან მატჩამდე ლეგიონერებს დავაკვირდები, რათა 23-24 ფეხბურთელი შევარჩიო და არჩევანში არ შევცდე. ამასთან, ლიტველთა თამაშსაც ისე შევისწავლი, როგორც ფარერებისას. მსოფლიოში არ მეგულება მწვრთნელი, ფარერების გუნდი ჩემსავით რომ შეესწავლოს. გარდა ამისა, 17 და 19-წლამდელთა მატჩებსაც დავესწრები უცხოეთში.

## 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი





# იტალია ტონის ტონალობაში ხახვი მარტო ქართველებს

**იტალია 2:0 შოტლანდია**
1:0, 2:0 ტონი (12, 70)
**იტალია:** ბუფონი, ოდო, კანავარო, მატერაცი, ძამბროტა, გატუზო, დე როსი, კამორანეზი, პეროტა (პირლო 77), დი ნატალე (დელ პიერო 67), ტონი (კალიარელა 87)
**მწვრთნელი:** რობერტო დონადონი
**შოტლანდია:** გორდონი, ალექსანდერი, ვეირი, მაკმანუსი, ნეისმიტი, ტილი (მელოუნი 66), ფერგიუსონი, ჰარტლი, მაკკალობი (ბოიდი 81), ბრაუნი (ბიტი 86), მილერი
**მწვრთნელი:** ალექს მაკლიში
**მსაჯი:** ფრანკ დე ბლეკერი (ბელგია)
37 500 მაყურებელი

რობერტო დონადონის იტალიამ ისეთი თამაში მოიგო, აუგს ვერავინ იტყვის — მსოფლიოს ჩემპიონებმა ლამაზად, დაუძაბველად და ყოველგვარი წვალება-ჯახირის გარეშე დაჯაბნეს ალექს მაკლიშის გუნდი.

მაკლიში ტაქტიკურად ვერ მოერეოდა მეტოქეს, იტალიელებს რაც უნდა ცუდი მწვრთნელი ჰყავდეთ, თამაში ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი. დონადონის სამწვრთნელო ნიჭი და უნარი ბოლომდე ჯერ არ გაშიფრულა, გუშინ კი მისი გუნდი თითქმის უშეცდომოდ გაისარჯა მთელი 90 წუთი.

მაკლიშმა სამი ფორვარდი გაიყვანა და სამივე ისეთი, ვერ იტყოდი, რომელიმეს უფრო უკან ჩასვლა და ზონების გადაკეტვა ევალებოდაო — კენი მილერი, სკოტ ბრაუნი და კრის ბოიდი სულ წინ იყვნენ, თანაგუნდელები მათი შორეული ან ფლანგური პასებით მომარაგებას ცდილობდნენ, მაგრამ იტალიასთან ასეთი თამაში, როგორც წესი, არ ჭრის.

ფორცა, ლუკა ტონი! იტალიელთა ახმახმა ფორვარდმა მე-11 წუთზე შეაგდო პირველი თავური გოლი და ამით დონადონის გუნდს თავდაჯერება შეემატა.

შოტლანდია ყოჩაღად ირჯებოდა, მათგან ყველაზე აქტიური სელტიკელი მილერი იყო. გოლის შემდეგ ბრიტანელებმა ბურთის ფლობის ხანგრძლივობაში მოიპოვეს უპირატესობა, თუმც კარში მხოლოდ ერთხელ დაარტყეს — ბოიდის ოციოდე მეტრიდან გასროლილი ჯანლუიჯი ბუფონმა გააუვნებლა.

ისე ჩანდა, მეორე ტაიმი კიდევ უფრო საინტერესო იქნებოდა, მაგრამ შესვენების შემდეგ შოტლანდია ფაქტობრივად ჩაიკარგა.

იტალიელებმა სისწრაფეს უმატეს და ამის შემდეგ ძალიან კარგად გამოჩნდა მათი უპირატესობა კლასში — მასპინძლები უკვე ყველა კომპონენტში აცამტვერებდნენ სტუმრებს.

...ანტონიო დი ნატალე კრეიგ გორდონთან პირისპირ გავიდა, ოდნავ მახვილი კუთხიდან დაარტყა, მაგრამ გორდონმა თავისი გრძელი ხელი ისე გაშალა, ბურთი კარში არ შეუშვა.

მალე ისევ შეეყარნენ ერთმანეთს დი ნატალე და გორდანი — იტალიელთა მარცხენაფლანგელს კიდევ უფრო უკეთესი პოზიციიდან შეეძლო გატანა, მაგრამ შოტლანდიელმა მეკარემ ფეხით მოიგერია ბურთი.

ასეთი მძლავრი შემტევის შემდეგ შოტლანდია თითქოს გონს მოეგო, ერთი-ორი მწვავე ფლანგური ჩაწოდებაც მოახერხა, მაგრამ იტალიურ დაცვას ამათ ვერაფერი დააკლო.

დონადონიმ შეცვლაზე ალესანდრო დელ პიერო შეუშვა. მობერებულმა ვარსკვლავმა ჯეელობა გაიხსენა და ორ-სამი ისეთი ფანტი ჩაატარა, შოტლანდიელები რომ გააბრუა.

დელ პიეროს ჩაუქობით იტალიის უპირატესობა კიდევ უფრო შთამბეჭდავი გახდა, დონადონის გუნდი კიდევ უფრო ლაღად ათამაშდა და მეორე გოლიც გაიტანა — კამორანეზიმ მარჯვნიდან ჩააწოდა და ტონიმ უნაკლო თავური შეაგება.

მაკლიშმა შეცვლებით ამაოდ სცადა ვითარების გამოსწორება, მოედანზე კრეიგ ბიტიც შეუშვა, ვინც ოთხი დღის წინ საქართველოს გამარჯვების გოლი გაუტანა, მაგრამ იტალიას ამით ყურებზე ხახვიც ვერ დააჭრა.

**ნიკა ჯორჯაძე**

# და რას ამბობენ ამაზე ოდესაში?

**უკრაინა 1:0 ლიტვა**
1:0 გუსევი (48)
**უკრაინა:** შოვკოვსკი, ნესმაჩნი, კუჩერი, ტიმოშჩუკი, იეზერსკი, რუსოლი, გუსევი (ვორობეი 80), მიხალიკი (შელაევი 70), კალინიჩენკო (ჩიგრინსკი 83), შევჩენკო, ვორონინი
**მწვრთნელი:** ოლეგ ბლოხინი
**ლიტვა:** გრიბაუსკასი, შემბერასი, კლიმავიჩიუსი, პაულაუსკასი, სტანკევიჩიუსი, სკერლა, ჟვირგჟდაუსკასი, სავენასი (კალონასი 51), მორინასი (გედგაუტასი 57), პოშკუსი (რაძინიავიჩიუსი 65), დანილიავიჩიუსი
**მწვრთნელი:** ალგიმანტას ლიუბინსკასი
**გაფრთხილება:** იეზერსკი, დანილიავიჩიუსი, სავენასი
**მსაჯი:** ჰანს მაიერი (გერმანია)
25 000 მაყურებელი

ჩვენი ჯგუფის მატჩში ფავორიტის ვინაობა მატჩამდეც ცხადი იყო. უკრაინამ, რომელიც ოდესაში პირველ ოფიციალურ მატჩს თამაშობდა, ლიტვა მინიმალური სხვაობით, მაგრამ მაინც დაამარცხა — აბა, როდის ყოფილა, უკრაინას, შინ თუ სტუმრად, მთლად უსუსურების ჩაუთვლელად, დიდი ანგარიშით მოეგოს?! გასაკვირიც რა იყო — ჯგუფის ერთ-ერთი აუტსაიდერს უკრაინამ შინ 1:0 სძლია და თავის სატურნირო აქტივს სამი ქულა შემატა.

ისე, სჯობს, აქვე ვთქვათ: ლიტველთა მწვრთნელ ალგიმანტას ლიუბინსკასს მატჩის შემდეგ მსაჯობით აღშფოთება არ დაუმალავს და ისეთი ამბავი აუტეხავს, ვარაუდობენ, რომ მის ასეთ საქციელს უეფას სადისციპლინო კომიტეტის სანქციები მოჰყვება. ჩვენ კი გავიხსენოთ, რომ პირველი შემთხვევა არ არის, როცა უკრაინელებთან შეხვედრას მეტოქე მწვრთნელთა ასეთი რეაქცია მოჰყოლია, ხოლო ასეთი რამ მაშინ უფრო ხშირია, როცა უკრაინა შინ თამაშობს...

უკრაინა — ლიტვა კი თავიდანვე მასპინძელთა დიდი უპირატესობით დაიწყო. პირველსავე წუთზე მოსკოვის „სპარტაკის" უკრაინელ ფორვარდ კალინიჩენკოს ჰქონდა ჩინებული შანსი, მაგრამ ბურთს ფეხი ვერ დაუხვედრა. ხუთი წუთის შემდეგ ლევერკუზენელი ვორონინის დარტყმული ბურთი მეკარე გრიბაუსკასმა კარის ხაზიდან მოიგერია.

მოკლედ, მატჩის დასაწყისში უკრაინელებს უდიდესი უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ ვერანაირად იხეირეს. 36-ე წუთზე კუჩერის დარტყმის შემდეგ ლიტველები ძელსაც გადაურჩნენ...

პირველ ტაიმში მასპინძელთა უპირატესობა გოლებში არ ასახულა, მაგრამ უკრაინელებმა თამაშის განახლებისთანავე გაიხარეს. მასპინძელთა საგოლე კომბინაცია შევჩენკო-კალინიჩენკომ დაიწყეს, ამან ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა, გუსევმა კი გრიბაუსკასს შორეულ კუთხეში გაუტანა — 1:0.

შემდეგ მასპინძლებმა, ესეც ნაცადი ხერხია, დაცვა გააძლიერეს და მეტოქის ნახევარზე რამდენჯერმე თუ გადავიდნენ. სამაგიეროდ, ლიტველებს ჰქონდა ერთიორი მომენტი, საპასუხო გოლთანაც ძალიან ახლოს იყვნენ...

წამატებული დროის სამი წუთი უკრაინელებმა საკუთარ საჯარიმოში გაატარეს და ლიტველთა ყველა შეტევა უდიდესი ენერგიის ხარჯზე მოიგერიეს...

**კობა ინასარიძე**



ოლეგ გუსევს (№9) გააქვს და გააქვს...

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 12:2 | 12 |
| შოტლანდია | 6 | 4 | 0 | 2 | 11:6 | 12 |
| უკრაინა | 5 | 4 | 0 | 1 | 8:4 | 12 |
| იტალია | 5 | 3 | 1 | 1 | 9:5 | 10 |
| საქართველო | 6 | 2 | 0 | 4 | 13:12 | 6 |
| ლიტვა | 5 | 1 | 1 | 3 | 3:5 | 4 |
| ფარერები | 6 | 0 | 0 | 6 | 1:23 | 0 |

## ამხანაგური მატჩი

**საფრანგეთი 1:0 ავსტრია**
1:0 ბენზემა (68)
**საფრანგეთი:** კუპე, კლერკი, ტურამი (გალასი 46), მექსეში (აბიდალი 46), ტკუდე, ლ. დიარა, მაკუბა, დიაბი (პიკიონი 77), ნასრი (მალუდა 70), ჟ. სისე (ბენზემა 46), ანელკა
**მწვრთნელი:** რაიმონ დომენეკი

შოტლანდიასთან მატჩის შემდეგ საქართველოს ეროვნული ნაკრების და „ბლექბერნის“ მცველი ზურაბ ხიზანიშვილი ეროვნულ გუნდს თბილისში ფარერებთან სათამაშოდ არ ჩამოჰყოლია — ზურას საზარდული ქრონიკულად აწუხებს და ფეხმა შოტლანდიასთან თამაშისას ჩვენი ნაკრებისთვის საბედისწეროდ უმუხთლა. ზურას გუშინ დავურეკეთ მანჩესტერში და ჯერ ჯანმრთელობაზე ვკითხეთ...



# რატომ დააავიწყდა საქართველოს პირველი და ბოლო წუთები?

## ზურაბ ხიზანიშვილი: ტკივილმა ფეხი გამიჩერა

— ვარჯიში განვაახლე, თუმც დღეს მხოლოდ ვიძუნძულე. 31 მარტს „მანჩესტერს“ ვხვდებით და ალბათ ვერ ვითამაშებ.

— თითქმის ერთი წელია, საზარდული ქრონიკულად გაწუხებს და ალბათ უოპერაციოდ ველარ მოგირჩება?

— საზარდულის თერაპიული მკურნალობა ჯერ არ დამისრულებია, ერთი ნემსი დამრჩა გასაკეთებელი, რომელმაც ორ კვირაში უნდა იმოქმედოს და თუ ამანაც არ მიშველა, ალბათ აპრილის შუა რიცხვებში ოპერაციას გავიკეთებ.

— რატომ „ალბათ“?

— იმიტომ, რომ 15 აპრილს ასოციაციის თასის ნახევარფინალში „ოლდ ტრეფორდზე“ „ჩელსის“ ვხვდებით და თუ ფინალში გავედით, შესაძლოა, ოპერაცია სეზონის დასრულების შემდეგ გავიკეთო.

— შოტლანდიასთან მატჩზეც ვთქვათ — რა დაგემართა იმ ეპიზოდში, როცა მეორე გოლი გავუშვით?

— საზარდული ისე ამტკივდა, ვერაფერი გავაკეთე. ყველაფერს კარგად ვხედავდი, მაგრამ იმ მომენტში ფეხი გამიჩერდა, მოძრაობა ვერ შევძელი.

— პირველი და მეორე გოლების დროს ფლანგელი მცველებისგან დაცვის ცენტრის დაზღვევა შეუძლებელი იყო?

— ვიდეოზე ეს მატჩი არ მინახავს და ვერაფერს გეტყვით.

— მეორე გოლისას რომ დაგეძახა ზაალ ელიავასთვის, დამაზღვიეო, ესეც შეუძლებელი იყო?

— ამას უბრალოდ ვერ მოვასწრებდი.

— ისიც შეუძლებელი იყო, კლაუს ტოპმიოლერისთვის შეცვლა მოგეთხოვა?

— საზარდული კარგა ხანია, მაწუხებს, მაგრამ ფეხი მაინცდამაინც იმ მომენტში გამიჩერდა.

— მეორე ტაიმის მეორე ნახევარი გუნდმა ცუდად რომ ითამაშა, ეს რისი ბრალი იყო? ნახევარდაცვის უნიათობის გამო მთელი ტვირთი დაცვას დააწვა...

— ყველამ კარგად იცის ბრიტანელების და უშუალოდ შოტლანდიელების სტილი. თამაში 90 წუთი გრძელდება, მაგრამ სქოთები პირველ და ბოლო თხუთმეტწუთეულს განსაკუთრებული მუხტით და ჟინით თამაშობენ — სწორედ ამ დროს გავუშვით გოლები. თუ მანამდე მეტოქე მეტწილად ფლანგებიდან გვიტევდა, მეორე ტაიმში ცენტრიდანაც მოგვარღვიეს. სულ ბურთის ართმევაზე რომ ხარ გადასული, დაცვაში ერთ-ორ შეცდომას აუცილებლად დაუშვებ, რასაც შეიძლება გოლი მოჰყვეს — ყოველივე ეს ძალიან ლოგიკურია. მეორე გოლის დროს კი, ფაქტობრივად, ათი კაცით დავრჩით, ფეხს ვერ ვადგამდი, თორემ განსაკუთრებული ხიფათი ჩვენს კართან არ შექმნილა, ელიავასაც საიდან უნდა სცოდნოდა, რომ ასეთი რამ დამემართებოდა...

**დავით თაგართქილაძე**

# ზესტაფონი ცდას აფრიკელზეც ატარებს

**სანამ** საქართველოს ნაკრები შოტლანდიაში წააგებდა და ფარერებთან გასეირნებას მოიწყობდა, ეროვნულ ჩემპიონატში შესვენება იყო და პაუზა ჩემპიონატის რამდენიმე ლიდერმა ამხანაგური მატჩებით შეავსო.

„ზესტაფონმა“ ამხანაგურ მატჩთან ერთად სატრანსფერო საქმეებსაც მიხედა. იმერლებმა გასინჯვაზე გაბონელი ნახევარმცველი პოლ კესანი ჩამოიყვანეს და დაიმატეს ქუთაისის „ტორპედოდან“ წამოსული შუახაზელი არმაზ დოლონაძე. ამ ფეხბურთელებს თავის გამოჩენის შანსი „მერანთან“ ამხანაგურ მატჩში მიეცათ, რომელშიც იმერლებმა 5:1 იმარჯვეს. პირველი გოლი სწორედ დოლონაძის ანგარიშზეა. „მერანმა“ ტაიმის ბოლოს ანგარიში კი გაათანაბრა, მაგრამ მეორე ტაიმში ორჯერ შალვა ლონლაძემ, თითოჯერ კი ბრაზილიელებმა ვიეირამ და ლეანდრომ იხეირეს.

„ზესტაფონმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ჭანტურია (ჯალალონია 75), ლონლაძე, თოდუა, სანტოსი, კ. ჩხეტიანი (ვიეირა 46), დოლონაძე (ლეანდრო 75), კესანი, ბ. ნოზაძე, ჩოხელი (ჟონატასი 46), ლეანდრო (ფიფია 46), იონანიძე (გ. ჩხეტიანი 46).

თბილისის „დინამო“ კი გორის „დილას“ გაეჯიბრა და 2:0 მოუგო. გოლები დავით ოდიკაძემ და ირაკლი სირბილაძემ გაიტანეს. დინამოელთა თავკაცმა დუშან უჰრინმა სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებში გამოძახებული ფეხბურთელების არყოფნაში გუნდი ასეთი შემადგენლობით ათამაშა: გრიშიკაშვილი, კობიაშვილი (კაკუბავა 88), შ. კაშია, აკობია, გუგავა, დიღმელაშვილი (ფირცხალავა 75), ხმალაძე, ოდიკაძე (სირბილაძე 46), ხუციშვილი, ჯანაშია, იაშვილი (ჯიშკარიანი 57).

გორელთა მწვრთნელმა მამუკა ვარდოსანიძემ კი გუნდი ორივე ტაიმი განსხვავებული შემადგენლობებით ათამაშა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



პოლ კესანი

# ფიქრები ესპანეთისკენ

## გიორგი ელბაქიძის პირადი ტაქტიკა: პრაქტიკა!



საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებმა ტრაპიზონული შეკრება დაასრულა და თბილისში დაბრუნდა. პეტარ სეგრტის გუნდმა ორი ტესტ-მატჩი გამართა: „რიზესფორთან“ 0:2 წააგო, „ტრაბზონსფორის“ მეორე შემადგენლობას კი 4:0 სძლია. ქართველ 21-წლამდელებს ივნისიდან ევროშესარჩევი ციკლი ეწყებათ და მანამდე ხომ საფუძვლიანი მომზადება და შეთამაშებაა საჭირო... 18 წლის გიორგი ელბაქიძე ერთ-ერთი უმცროსთაგანია სეგრტის გუნდში — თურქულ შეკრებაზე სწორედ „ამერის“ მარცხენა მცველს ვესაუბრეთ...

— ტრაპიზონში ნაყოფიერი ერთკვირიანი შეკრება გავიარეთ. ნაკრები ჩამოყალიბების პროცესშია და ეს შეკრებაც იმისთვის ჩატარდა, რათა ესპანეთთან 5 ივნისის მატჩისთვის კარგად მოვემზადოთ. ესპანელებს ძალიან ძლიერი ახალგაზრდები ჰყავთ, ასე რომ, ძნელი თამაში გვექნება.

— ივნისამდე ალბათ კიდევ გექნებათ შეკრება და ტესტ-მატჩები...

— ცხადია, ეროვნული ჩემპიონატის დასრულებამდე ეს ვერ მოესწრება, მაისის ბოლოს კი ალბათ შევიკრიბებით.

— თურქეთში გამართულ თამაშებზე რას იტყვი?

— „რიზესფორთან“ არ მითამაშია, „ტრაბზონსფორთან“ კი მართლაც იოლად მოვიგეთ. როგორც გავიგეთ, ტრაპიზონელებს პირველი გუნდის ფეხბურთელებიც ჰყოლიათ.

— პეტარ სეგრტიზეც ვთქვათ: უფრო რა სათამაშო კომპონენტებს აქცევს იგი ყურადღებას?

— კარგი მწვრთნელია და ეტყობა, რომ გულით უდგება საქმეს. სეგრტის ბოლომდე უნდა დავუჯეროთ და მივყვეთ — მთავარი ესაა, თორემ პოტენციალი ამ ნაკრებს ნამდვილად აქვს. როგორც ყველა უცხოელი მწვრთნელი, სეგრტიც ყველა კომპონენტს აკვირდება, ფიზიკურ და ტაქტიკურ მომზადებაზეც ერთნაირად აკეთებს აქცენტს.

— ამასწინათ კლაუს ტოპმიოლერმა გვითხრა, 19-და 21-წლამდელთა ნაკრებების თითქმის ყველა ფეხბურთელს ევროპული გუნდების სკაუტები აკვირდებიანო. ტრაპიზონშიც ასე იყო?

— ამის შესახებ არაფერი გამიგია.

— ახლა „ამერზეც“: ლიდერმა „ოლიმპმა“ ხუთი ქულით გაგასწროთ და საჩემპიონო შანსებზე რას იტყვი?

— „ამერს“ ჩემპიონობის შანსი არ დაუკარგავს. ჩვენი მთავარი კონკურენტები კი „ოლიმპი“ და „დინამო“ არიან.

— უმაღლეს ლიგაში მეორე სეზონს ატარებ, „ამერში“ თითქმის სულ ძირითადში თამაშობ და როგორ ატყობ, შარშანდელს აქეთ მოუმატე?

— ისეთ ასაკში ვარ, როცა გამოცდილება წლიდან წლამდე გემატება. ჩემთვის მთავარი სათამაშო პრაქტიკა და გამოცდილების მიღებაა. ვფიქრობ, ამ მხრივ შარშანდელზე უკეთ ვარ.

**ილია ნანობაშვილი**




# ფედერაცია გუნდებს და ლეგიონერებს აფრთხილებს:

## სატრანსფერო ფანჯარა 8 მარტს დაიხურა

**გუშინდელ „სარბიელში“ დაიბეჭდა ინტერვიუ ლუბლიანას „ოლიმპიის“ ქართველ უკანახაზელ მანუჩარ მარკოიშვილთან, რომელიც ამბობდა, რომ შესაძლებელია, მან თავისი სლოვენიური გუნდი დატოვოს და სეზონი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდში ჩაამთავროს. ამასთან დაკავშირებით საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ ეს განცხადება გამოაქვეყნა:**

**ბოლო ხანს** საქართველოს XVI ჩემპიონატის მონაწილე გუნდების რამდენიმე ხელმძღვანელისგან ჩემპიონატის წინასამატჩო პრესკონფერენციებზე, საგაზეთო თუ სატელევიზიო ინტერვიუებში ხშირად გაისმის მოსაზრება, რომ ესა თუ ის გუნდი ჩემპიონატის პლეიოფისთვის აპირებს საზღვარგარეთ მოთამაშე ქართველი კალათბურთელების დამატებას და ამით თავიანთი გუნდების გაძლიერებას.

დღევანდელ დღეს აღნიშნული მოსაზრება სრულიად უსაფუძვლო და აბსურდულია, რადგან საქართველოს მე-16 ჩემპიონატის (სუპერლიგა 2006-07) დებულების 6.5 პუნქტში ნათლადაა მითითებული:

„კლუბმა (გუნდმა) შეიძლება დაიმატოს უცხოურ კლუბებში (გუნდებში) ლიცენზირებული ქართველი მოთამაშე იმ პირობით, რომ მას დაუმთავრდა უცხოური კონტრაქტი. ამ შემთხვევაში დამატებითი განაცხადი და გათავისუფლების წერილი სკფ-ს უნდა მიეწოდოს არაუგვიანეს ერთი კვირისა, მეოთხე წრის დაწყებამდე.“

მოთამაშეთა დამატების ვადები იგივეა უცხოურ კლუბებში (გუნდებში) ლიცენზირებული უცხოელი კალათბურთელებისთვისაც.

ჩემპიონატის მეოთხე წრე დაიწყო 9 მარტს, შესაბამისად, დამატების ბოლო ვადა უნდა ყოფილიყო 2007 წლის 2 მარტი. თუმცა, საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ ჯერ კიდევ ჩემპიონატის ადრეულ სტადიაზე გაითვალისწინა კლუბების ინტერესები და აღნიშნული ვარდა გაგრძელდა 2007 წლის 8 მარტამდე.

ამ პერიოდამდე მოთამაშეთა დამატება მოახდინა ორ კლუბმა — ყოველგვარი დოკუმენტაციის დროულად და სწორად წარმოდგენის შემდეგ თბილისის „თბილავიამშენმა“ განაცხადში შეიყვანა ბიქტორ კვიმსაძე, ხოლო რუსთავის „აზოტმა“— ირანიდან გათავისუფლებული სერბი კალათბურთელი ბოიან მალეშევიჩი.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციას 2007 წლის 8 მარტამდე არ მიუღია არც ერთი სხვა გუნდის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოთამაშეთა დამატების თაობაზე. აქედან გამომდინარე, საქართველოს კალათბურთის ფედერაცია უფლებას იტოვებს განაცხადოს, რომ იმ გუნდების ხელმძღვანელებს, რომლებიც დღემდე აცხადებენ, რომ პლეი ოფისთვის იმატებენ ამა თუ იმ მოთამაშეს, ან წაკითხული არ აქვთ დებულება და არც ზოგადი წარმოდგენა გააჩნიათ მოთამაშის დამატების წესზე, ან შეგნებულად, მხოლოდ მათთვის ცნობილი მიზეზის გამო აკეთებენ მსგავს განცხადებებს, რითაც ღრმა შეცდომაში შეჰყავთ გულშემატკივრები და საზოგადოება. პარალელურად, ახდენენ ჩემპიონატის დებულების იგნორირებას და უგულებელყოფას.

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია აცხადებს, რომ არავის მიეცემა დებულების დარღვევის უფლება. ჩემპიონატში დასრულებულია ყოველგვარი სატრანსფერო პერიოდი და გუნდები ჩემპიონატს დაამთავრებენ იმ მოთამაშეებით, რომლებიც მათ განაცხადში შერჩათ 2007 წლის 8 მარტის შემდეგ.

*საქართველოს კალათბურთის ფედერაცია*

---

**NBA რეგულარული ჩემპიონატი**

# კაცი ვარ!

## კინსმა ბრაიანტი მიწაზე დაუშვა

27 მარტი

**ლეიკერსი 86:88 მემფისი**
ლეიკერსი: ბრაიანტი (23), უოლტონი (15), პარკერი (14), ოდომი (3 ქულა, 16 მოხსნა, 11 პასი)
მემფისი: კინსი (24), გაი (20 ქულა, 12 მოხსნა), ჰარინგტონი (13), გასოლი (10 ქულა, 16 მოხსნა, 7 პასი)

**მინესოტა 106:114 სიეტლი**
მინესოტა: დევისი (21), გარნეტი (20 ქულა, 10 მოხსნა, 9 პასი), ბლენტი (15)
სიეტლი: ლუისი (35), უოტსონი (24),

**ნიუ ორლეანი 89:105 დალასი**
ნიუ ორლეანი: პარგო (23), ჩანდლერი (13)
დალასი: ჰოვარდი (25 ქულა, 10 მოხსნა), ტერი (19) ნოვიცკი (15), ჰარისი (14)

**ინდიანა 94:105 კლივლენდი**
ინდიანა: ონილი (32), გრეინჯერი (22), მერფი (16), ტინსლი (15 ქულა, 12 პასი)
კლივლენდი: ჯეიმსი (26), ილგაუსკასი (23), სნოუ (14), პავლოვიჩი (13)



კობი ბრაიანტი

**თამაშში** 26 სროლიდან 7 ჩაგდებით და „მემფისთან“ 23-ქულიანი თამაშით დაასრულა ზღაპრული მატჩების სერია „ლეიკერსის“ სუპერბომბარდირმა კობი ბრაიანტმა. კობიმ 5 წინა შეხვედრაში ჯამში 268, ანუ საშუალოდ 53,6 ქულა იხვეჭა და თავად ხომ ასოციაციის უძლიერეს მექულეთა დავაში გალიდერდა და გუნდსაც ეს ხუთივე თამაში მოაგებინა, რითაც საპლეიოფო ზონაში ადგილი გაუმყარა.

მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული და ბრაიანტსაც მოუხდა ციდან მიწაზე დაშვება. უფრო მხატვრულად რომ ვთქვათ, ქვევიდან მოჰკიდეს ხელი და დაანარცხეს. იმ წინა ხუთი შემუსრული მეტოქიდან ერთი სწორედ „მემფისი“ გახლდათ, ვისაც ბრაიანტისგან მოხვედრილი 60 ქულა ძალიან ემწვავა და ახლა მემფისელმა „დათვებმა“ ყველაფერი იღონეს, მისთვის სამაგიერო რომ გადაეხადათ — მუდმივად ორი კაცით დასდევდნენ და გასაქანს არ აძლევდნენ, პირდაპირ ხელებზე ასხდნენ. ბრაიანტმაც პირველი სამი ტყორცნა კი ჩააგდო, მაგრამ მერე ისეთ მარწუხებში აღმოჩნდა, რომ მომდევნო 16 ტყორცნიდან 15 ააცილა.

„ეს ჩვენი ერთ-ერთი უცუდესი თამაში იყო სეზონში — ამბობდა ნამატჩევს „ლეიკერსის“ თავკაცი ფილ ჯექსონი — მთელი შეხვედრის განმავლობაში თავიდან არ ამომდიოდა იმაზე ფიქრი, რომ გუნდს ყველაფერი დაავიწყდა გარდა იმისა, რომ კობიზე ეთამაშა და მხოლოდ მისი ქულების იმედად ყოფილიყო. ვფიქრობ, კიდევ ბევრს დარჩა ისეთი შთაბეჭდილება, რომ „ლეიკერსი“ მარტო კობი ბრაიანტია და მხოლოდ მასზეა ჩამოკიდებული.“

ბრძოლა მაინც საკმაოდ დაძაბული გამოვიდა. მატჩის დამთავრებამდე 13 წამით ადრე „მემფისი“ 86:81 დაწინაურდა. „ლეიკერსმა“ მოახერხა, ორ ქულამდეც შეამცირა სხვაობა და ბოლო წამებზე ბურთიც დარჩა, მაგრამ ბრაიანტს მემფისელთა ლიდერმა პაუ გასოლმა დაუფარა სულ ბოლო წამს.

სათქმელია, რომ სტუმრებს სამი წამყვანი მოთამაშე — მაიკ მილერი, დეიმონ სტუდემაიერი და ჩაკ ეტკინსი აკლდათ. სამივე ჯამში 39 ქულას აგროვებს და ასეთი სუსტი გუნდისთვის ეს, შეიძლება ითქვას, აუნაზღაურებელი დანაკლისია, მაგრამ „მემფისმა“ მეტოქის ძლევამდე საკუთარ თავს აჯობა. სრულიად უცხო ახალბედამ ტერენს კინსიმ ბრაიანტსაც ხომ სანაქებოდ უმეურვევა — პირდაპირ ტკიპასავით აეკრო და შეტევაშიც ივარგა, 24 ქულა ჩააგდო, ბრაიანტსაც არ აჯობა?!

„ახალბედა კი ვარ, მაგრამ კაცი ვარ — ამბობდა ნამატჩევს ეს კინსი — ყველას გვაქვს თავმოყვარეობა და ერთხელ 60 ქულას რომ ჩაგიგდებენ, თუ რამედ ღირხარ, მეორედ ასეთ რამეს არ დაუშვებ.“

დასავლეთის კიდევ ერთმა აუტსაიდერმა „სიეტლმა“ იყოჩაღა საშშაბათს. „ზებგერითები“ მინეაპოლისში იქაურ „მგლებს“ ხვდებოდნენ და მიუხედავად იმისა, რომ ლიდერი რეი ალენი აკლდათ, მაინც მოუგეს და კევინ გარნეტსა და კომპანიას პრაქტიკულად ჩაუქრეს პლეი ოფში მოხვედრის იმედი. მასპინძლებისთვის ეს თამაში შოკივით იყო — ისინი პირველი ტაიმის შემდეგ 21 ქულით იგებდნენ და ბოლო მეოთხედშიც 15 ქულით ლიდერობდნენ, მაგრამ „სიეტლმა“ უკანასკნელ პერიოდში მეტოქე გააქავა და 35:12 შეარცხვინა.

**კოტე ყორშია**

---

## არენასი გააფრთხილეს

[illegible] „ვაშინგტონ ვიზარდსის“ ლიდერი ჯილბერტ არენასი ნბა-ს მესვეურებმა მკაცრად გააფრხთილეს, გულშემატკივრებთან სანაძლეოს დადებებს შეეშვიო. არენასი „პორტლენდთან“ ამასწინდელი მატჩის წინ საკუთარ საიტზე მავან გულშემატკივრებს 10 დოლარზე დაენიძლავა, რომ მისი გუნდი იმარჯვებდა და თავად 50 ქულაზე მეტს ჩააგდებდა. მოგვიანებით ამ სანაძლეოს ამსახველი ინფორმაცია არენასის საიტიდან გაქრა, მაგრამ ნბა-ს დისციპლინარებს არაფერი გამოჰპარვიათ და „ვიზარდსის“ ლიდერს თითი დაუქნიეს. ნიძლავი გულშემატკივრებმა მოიგეს, რადგან „ვიზარდსმა“ წააგო და არენასმა მხოლოდ 9 ქულა შეაკოწიწა.

## გარბახოსამ დაამთავრა

„ტორონტო რეპტორზის“ ესპანელმა ფორვარდმა ხორხე გარბახოსამ რთული ოპერაცია გადაიტანა და მიმდინარე სეზონში თავისიანებს ველარ დაეხმარება.

ხორხემ ტრავმა ორიოდე დღის წინ, „ბოსტონის“ წინააღმდეგ მატჩში მიიღო. ის „კელტების“ ცენტრ ელ ჯეფერსონის დაფარებას ცდილობდა, როცა ფეხი იტკინა და საოპერაციო შეიქნა. გარბახოსამ მიმდინარე სეზონში 67 მატჩი ითამაშა, რომლებშიც საშუალოდ 9 ქულასა და 5 მოხსნას აგროვებდა.

## ვილანუევა მილუოკის გამოაკლდა

„მილუოკი ბაქსის“ ფორვარდმა ჩარლი ვილანუევამ მხრის ოპერაცია გაიკეთა და ეს იმას ნიშნავს, რომ ამ სეზონში ველარ ითამაშებს. მისი სარეაბილიტაციო პერიოდი მინიმუმ ერთ თვეს გაგრძელდება, „მილუოკიმ“ კი პლეი ოფში ადგილი ვერ მოიპოვა და აპრილის ბოლოს სეზონს დაასრულებს.

## არტესტი ევროპისკენ იყურება



„საკრამენტო კინგზის“ სუპერმცველი რონ არტესტი კარიერის დასრულებაზე დაფიქრდა. ბევრი იფიქრა თუ ცოტა გადაწყვიტა, რომ მოთამაშის კარიერა ევროპაში დაასრულოს. ჯერ უცნობია, სად ითამაშებს არტესტი მომდევნო სეზონში, თუმც ამ ბუნტისთავობით განთქმულმა კალათბურთელმა უკვე ქვეყანას მოსდო, რომ ეს მისი ბოლო სეზონია ნბა-ში.

ჭიდაობა

# ვარჯიშში გაცვლილი ევროპა

## მინდორაშვილს შემოდგომა ოქროსფერი უყვარს

ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი თავისუფალი სტილის მოჭიდავე **რევაზ მინდორაშვილი** წლეულს მხოლოდ ორ ტურნირზე გამოვიდა. სეზონის დასაწყისში მან საქართველოს ჩემპიონატი გამოტოვა. შიდა პირველობა სააპრილო ევროპის ჩემპიონატზე წამსვლელი შემადგენლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შესარჩევ ეტაპად მიიჩნეოდა და მაშინვე ითქვა, რომ „მინდორა" უმთავრეს საგაზაფხულო ტურნირს გამოტოვებდა. ეს აზრი რამდენიმე დღის წინ ნაკრების თავკაცმა ზაზა თურმანიძემაც დაგვიდასტურა, გუშინ კი თავად რეზომ დასვა წერტილი — ევროპის ჩემპიონატის გამოტოვება ჩემი სურვილიც იყო და მწვრთნელებისაც. ამაზე ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე დავფიქრდით და ყველაფერი ერთად ავწონ-დავწონეთ. წლეულს მთავარი ტურნირი საშემოდგომო მსოფლიოს ჩემპიონატია და გადავწყვიტეთ, იქამდე სპეციალური პროგრამით, მაქსიმალურად კარგად მოვემზადო



— **საქართველოს ჩემპიონატის გამოტოვების მიზეზიც ეს იყო?**

— რა თქმა უნდა. ევროპაზე გამოსვლა რომ გეგმაში მქონოდა, საქართველოს პირველობაზე ხალიჩაზე აუცილებლად გავიდოდი. აი, ზაფხულში ვახტანგ ბალავაძის სახელობის ტურნირს ყოველ მიზეზ გარეშე ვიჭიდავებ ნაკრებში ადგილის დასაბრუნებლად.

— **კი, მაგრამ წლეულს ბალავაძის სახელობის ტურნირის ჩატარება საეჭვოა...**

— თუ ბალავაძე არ იქნება, სხვა შესარჩევი ტურნირი ჩაენაცვლება.

— **წლევანდელ საერთაშორისო ტურნირებზე მხოლოდ ერთი მედლის აღება მოახერხე.**

— სულ ორ ტურნირზე ვიჭიდავე და აქედან ერთი გუნდური იყო. ტაშკენტურ მსოფლიოს თასზე ფინალი წავაგე. ახლახან კრასნოიარსკში კი ბრინჯაო უზბეკეთის ნაკრებმა წაგვართვა.

— **კრასნოიარსკში ექვს ნაკრებში მეოთხე ადგილზე გასვლის მიზეზი რა იყო?**

— პირველ რიგში ის, რომ თავიდანვე რუსებს შევხვდით. ისედაც ძლიერი გუნდია და მით უმეტეს, საკუთარ კედლებში. ერთხელაც დავრწმუნდი, რომ რუსეთში ჭიდაობა არ ღირს. მსგავსი უნამუსო მსაჯობა არსად არაა. თუ მასპინძელს ხვდები, ასჯერ უკეთესი უნდა იყო, რომ მოუგო. ნაღდ ილეთებზე ხუჭავენ თვალს. შენს საწინააღმდეგოდ კი უბრალო აქტიურობასაც ილეთად თვლიან. არ მინდა, თავის მართლებად ჩამითვალოთ. ჩვენც არ ვიყავით სათანადოდ მომზადებულები. ეს ტურნირი წინასწარ გეგმაში რომ გვქონოდა, აუცილებლად უკეთ გამოვიდოდით. გუნდურ მსოფლიოს თასზე პირველად ვიჭიდავე და საოცარი მუხტი ვიგრძენი. ერთიანი სულისკვეთებით ჭიდაობა განსაკუთრებით საპასუხისმგებლოა. შემდეგ მსოფლიოს თასზე აუცილებლად უკეთესად მომზადებულები და საჩემპიონოდ შემართულები ჩავალთ.

— **რუსებს შენს წონაში ორი საუკეთესო მოჭიდავე — ადამ საიტიევი და საჟიდ საჟიდოვი აკლდათ. ნაკლებად ცნობილმა გიორგი კეტოევმა მოგიგო...**

— ძალიან ძლიერი ბიჭია. თუ არ იცით, გეტყვით, რომ იგი ჩვენი ნაკრების წევრის, ლერი ქეთიშვილის ძმაა. თან ორივე 84 კილოგრამში ჭიდაობს. გიორგის აქამდეც ვიცნობდი. ევროპის ჩემპიონატზე რუსეთის ნაკრების ღირსებას სწორედ ის დაიცავს.

— **ჩვენი ნაკრებიდან შენს გარდა ვინ ტოვებს ევროპას მსოფლიოსთვის უკეთ მომზადების მიზნით?**

— როგორც ვიცი, ოთარ თუშიშვილი, თუმცა ჯობს, ეს პირადად ჰკითხოთ.

— **დიდ ტურნირების გამოცდილება არ გაკლია და შიდა კონკურენციასაც მშვენივრად იცნობ. შენი აზრით, რა შანსი გვაქვს 84 კილოგრამში?**

— მედლის შანსი ნამდვილად გვაქვს. იმედია, ასეც იქნება.

— **ვინ დადგება ნაკრებში?**

— ალბათ ლერი ქეთიშვილი.

— **ნაკრების თავკაცმა ზაზა თურმანიძემ გვითხრა, რომ მას მუხლი აწუხებს...**

— იმედია, ისეთი ტრავმა არ აქვს, რომ ტურნირის გამოტოვება დასჭირდეს. ტკივილს კი აუცილებლად მოერევა. პირველი ევროპის ჩემპიონატი სწორედ ტრავმიანმა მოვიგე.

— **ხალიჩაზე დაბრუნებას მსოფლიოს ჩემპიონატამდე რომელ ტურნირზე აპირებ?**

— უკვე გადაწყვეტილი მაქვს, მაჰაჩყალის საერთაშორისო ტურნირზე გამოვიდე. მერე ნაკრების შესარჩევ ტურნირზე ვიჭიდავებ. შემოდგომაზე კი მსოფლიოს ჩემპიონი უნდა გავხდე. ოქროზე აქედანვე ვფიქრობ და მის მოსაპოვებლად მთელ სულს და გულს ჩავაქსოვ. ამ სიტყვებს ჰაერზე მართლა არ ვამბობ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ცურვა

# მოზბი დიკი ანუ თეთრი ვეშაპი

## მაიკლ ფელპსმა ყველა შესანსლა




AFP

**რამდენიმე** წლის წინ მსოფლიო აუზეთში იან ტორპი რომ მეფობდა, ხმები დაირხა, „ტორპედოს" ფეხის თითებშუა აპკი გაუჩნდა და ფეხები ფარფლებივით გაუხდაო. ცხადია, ეს არ შეესაბამებოდა სინამდვილეს, მაგრამ „ცოცხალ კაცზე" ხალხი მითებით და ზღაპრებით საუბარს რომ იწყებს, ის კაცი შეიძლება, თანამედროვე, მაგრამ მაინც ღვთად მოგეჩვენოს.

მაგრამ აუზეთში ტორპის ეპოქა დასრულდა და ეს ამერიკელმა მაიკლ ფელპსმა მოახერხა, რომელიც თანამედროვე ვეშაპთა შორის ყველაზე დიდყბიანია — ხახის ერთი დალებით ყველაზე მეტს ყლაპავს. ფელპსს 200 თავისუფალ მეტრზე იან ტორპის რეკორდის შეყლაპვის შემდეგ ხეირიანად არც დაუსვენია, 24 საათში ის ისევ აუზში მიდგაფუნობდა და მორიგი მსოფლიო რეკორდისკენ უსვამდა მკლავებს. როგორია სიტყვა „მორიგი"?! ამ კაცისთვის რეკორდების დამხობა ყოველდღიურ საქმიანობად იქცა.

სამშაბათს 21 წლის ამერიკელმა მონსტრმა უკვე 200 მეტრ ბატერფლაიში ამოაბრუნა ყველაფერი — აუზი ოთხჯერ ისე სწრაფად გადაცურ-გადმოცურა, რომ ყველა მდევარი სულ ცოტა სამი წამით, ანუ 5 მეტრზე მეტით ჩამოიტოვა და 1:52,09 შედეგის ჩვენებით ძველ მსოფლიო რეკორდს რაღაც ხურდები კი არა, 1,72 წამი ჩამოაჭრა. ზედმეტი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ძველი რეკორდიც თავად ფელპსის გახლდათ.

**ცურვა**

**კაცები. 200 მ. თავისუფალი**

1. მაიკლ ფელპსი (აშშ) 1.52,09; 2. ვუ პენი (ჩინეთი) 1.55,13; 3. ნიკოლაი სკვარცოვი (რუსეთი) 1.55,22

**კაცები. 50 მ. ბრასი**

1. ოლეგ ლისოგორი (უკრაინა) 27,66; 2. ბრენდან ჰანსენი (აშშ) 27,69; 3. კამერონ, ვან დერ ბერგი (სამხრეთ აფრიკა) 27,88

**კაცები. 800 მ. თავისუფალი**

1. ოსამა მულალი (ტუნისი) 7.46,95; 2. პიჟემისლავ სტანჩეკი (პოლონეთი) 7.47,91; 3. კრეიგ სტივენსი (ავსტრალია) 7.48,67

**ქალები. 200 მ. თავისუფალი**

1. ლორე მანადუ (საფრანგეთი) 1.55,52; 2. ანიკა ლურცი (გერმანია) 1.55,68; 3. ფედერიკა პელეგრინი (იტალია) 1.56,97

ამერიკელი მონოპოლისტისთვის ეს ოქრო მესამეა ამ მსოფლიო პირველობაზე — მანამდე 200 მეტრ თავისუფალში (ეს ხომ ვთქვით) და 4X100 მეტრ ესტაფეტაზეც იჩემპიონა. ისე, მელბურნში მას სულ შვიდი ოქროს აქვს დაგეგმილი.

მელბურნს უფელპსოდაც არ აკლია რეკორდები. ორშაბათს წამოსული მათი წვიმა სამშაბათსაც არ შეწყვეტილა. ამერიკელს მხარი აუბა და 200 თავისუფალი მეტრის, ანუ საშუალო დისტანციის რეკორდი განაახლა ეშხიანმა ფრანგმა გოგონამ ლორე მანადუმ, რომელიც მართალია, ფელპსივით ერთადერთი და განუმეორებელი ვერაა თავის სქესში, მაგრამ სადღეისოდ ქალებში ალბათ მაინც ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავად ჩაითვლება. მანადუმ 200 მეტრი წუთსა და 55,52 წამში გალია.

იყო კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდი — 50 მეტრს გულაღმა ცურვაში, მაგრამ ის შედარებით ნაკლებად ცნობილმა მოცურავემ, ამერიკელმა ლეილა ვაზირმა დაამყარა, თანაც ნახევარფინალურ გაცურვაში და ამ ამბავს ისეთი აჟიოტაჟი არ მოჰყოლია, როგორც ფელპსის ან თუნდაც მანადუს სუპერშედეგებს. ვაზირმა 50 მეტრი ზურგზე 28,16 წამში გაცურა.

ურეკორდოდ, მაგრამ მაინც მოიგო ბრასის სტილში ღღესდღეობით მსოფლიოს უსწრაფესმა სპრინტერმა, უკრაინელმა ოლეგ ლისოგორმა, რომელსაც ბრასის მოკლე დისტანციაზე ტოლი არ ჰყავს. ახლაც, ამერიკელმა ბრენდან ჰანსენმა ღირსეულად აუბა მხარ-მკლავი, მაგრამ 0,03 წამით მაინც ჩამოუვარდა უკრაინელს.

დღის მეოთხე ფინალში სტაიერულ დისტანციაზე, 800 თავისუფალ მეტრზე იყოჩაღა ტუნისელმა ოსამა მულალიმ, რომლისთვისაც ეს მედალი უკვე მეორეა მელბურნში. ორი დღით ადრე 400 თავისუფალ მეტრზე ოსამამ თვით მასპინძელთა ჯილდა გრანტ ჰეკეტს და რუს იური პრილუკოვს გაასწრო და მხოლოდ კორეელ ტაი ჰვან პარკს ჩამორჩა.

**კოტე ყორშია**



ეროვნული ბიბლიოთეკა

მასტერსის სერია. კი ბისკეინი. აშშ. ჰარდი 22 მარტი-1 აპრილი. საპრიზო 6 900 000$


AFP

# ფედერერის ქუსლი

## კანასმა იცის, სად დაჰკრას როჯერს


AFP

**კაცები**

**მეოთხე წრე**

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — გილერმო კანასი (არგენტინა) 7:6 2:6 7:6; ტომი რობრედო (6, ესპანეთი) — რადეკ შტეპანეკი (24, ჩეხეთი) 7:6 5:7 7:6; ხუან-იგნასიო ჩელა (23, არგენტინა) — ამირ დელიჩი (აშშ) 6:3 6:2; ივან ლიუბიჩიჩი (7, ხორვატია) — იარკო ნიემინენი (20, ფინეთი) 7:6 6:4; რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) — ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) 6:0 6:4; ნოვაკ ჯოკოვიჩი (10, სერბეთი) — ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) 6:0 6:3; ენდი როდიკი (3, აშშ) — დავიდ ფერერი (13, ესპანეთი) 7:5 6:3; ენდი მიურეი (12, ბრიტანეთი) — პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი) 2:6 7:5 6:3

**ქალები**

**მეოთხე წრე**

სერენა უილიამსი (13, აშშ) — მარია შარაპოვა (1, რუსეთი) 6:1 6:1

**მეოთხედფინალი**

ანა ჩაკვეტაძე (9, რუსეთი) — ნა ლი (15, ჩინეთი) 4:6 7:5 6:2; ჟუსტინ ენინი (2, ბელგია) — ნადია პეტროვა (6, რუსეთი) 7:6 7:6

**ორი კვირის** წინ გილერმო კანასმა როჯერ ფედერერს მოუგო და მთელი საჩოგბურთო სამყაროც შოკში ჩააგდო. თუმცა მაშინ ზოგმა თქვა, შვეიცარიელმა მეტოქე ვერ შეაფასა, სათამაშოდ ვერ განეწყოო, ერთხელ ყველას გამოსდის თამაშიო... მოკლედ, რაღა არ მოიფიქრეს და ალპელის იმ მარცხს გამართლება მოუძებნეს.

ჰოდა, ახლა, როცა ყველა ელოდა, რომ ფედერერი შურს იძიებდა და კანასს თავის ადგილს მიუჩენდა, არგენტინელი ადგა და კიდევ ერთხელ გააკრა ბეჭებზე თანამედროვე ჩოგბურთის უპირობო პირველკაცი, რითაც საჩოგბურთო სამყარო შოკში კი არა, კლინიკური სიკვდილის მდგომარეობამდე მიიყვანა.

კანასი მხოლოდ მეორე ჩოგნის მქნეველია ბოლო სამი წლის განმავლობაში, ანუ იმ პერიოდში, როცა ფედერერი ჩოგბურთის ოლიმპის თვითმპყრობელია, ვინც შვეიცარიელის დამარცხებას ორჯერ ახერხებს. აქამდე იგივე მხოლოდ რაფაელ ნადალს აქვს გაკეთებული, ოღონდ მოდით და ერთმანეთში ნუ ავურევთ ამ „მიღწევებს“ — ერთია, როცა შენი დონის ჩოგნის მქნეველთან აგებ, თან შენთვის ძალიან უხერხულ, მაგრამ მეტოქისთვის ყველაზე მისაღებ საფარზე (ნადალის შემთხვევაში ასე იყო) და მეორე, როცა ზედიზედ ორჯერ აგებ ერთწლიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ კორტზე ორნახევარი თვის წინ მობრუნებულ ჩოგბურთელთან, რომლის საყვარელი საფარი ჰარდი არასდროს ყოფილა. ცნობისთვის,შარშან ფედერერმა მაგარსაფარზე მხოლოდ ორჯერ წააგო, ახლა კი უკვე უწია თავის შარშანდელ ნორმას.

მოკლედ, კანასი მარტის უპირობო გმირია.

არ შედგა ჩვენს მიერ გუშინ რეკლამირებული მეორე რევანშიც — მარია შარაპოვა იმაზე უარესად განადგურდა, ვიდრე წლის პირველი სლემტურნირის ფინალში. სერენა უილიამსმა ყველას დაუმტკიცა, რომ მელბურნ-პარკის კორტებზე მომხდარი შემთხვევითობა კი არა, კანონზომიერება უფრო იყო.

ისე, რუსი პრიმას ასეთი გაცამტვერებას თავისი ახსნა აქვს — საქმე იმაშია, რომ მაშა და უმცროსი უილიამსი ერთ სტილში თამაშობენ. ორივეს უკანა ხაზიდან, ერთი ადგილიდან უყვარს მძლავრი დარტყმებით მეტოქეების კუთხეში მიმწყვდევა. ამაში მაშა მართლაც ძლიერია, მაგრამ სერენას მაინც ვერ გაეჯიბრება. დევქალა ამერიკელის წინააღმდეგ თამაშისას მისი სუპერდარტყმების მოსაგერიებლად ბლომად სირბილია საჭირო, რაც რუსს არ შეუძლია, რადგან კონტრშეტევები მისი ძლიერი მხარე არასოდეს ყოფილა. სწორედ ამიტომ სერენასთან თამაშის დროს მაშასთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ მოახერხებს ინიციატივის პირველად მოპოვებას, რომ თავისი იერიში დაიწყოს. ხოლო იმ პირობებში, როცა სერენა ქალთა შორის უდავოდ უძლიერეს მოწოდებას ფლობს, მაშას კი ამ ბოლო დროს ამ მხრივ სერიოზული პრობლემები აქვს და ორმაგ შეცდომებსაც ბლომად უშვებს, გასაგები ხდება, რომ პირველი შეტევის „უფლება“ ამერიკელს ჰქონდა. ამასთანავე, შარაპოვას აქამდე ნაქები ბრძოლისუნარიონობაც სადღაც პირველი სეტის მიწურულს გაზაფხულის თოვლივით დადნა და... ასეთი გამანადგურებელი ანგარიში ვილას უკვირს.

კაცთა შორის ყველა მეოთხედფინალისტის ვინაობა გაირკვა — ფედერერის მარცხის შემდეგ აქ სხვა მოულოდნელობა აღარ მომხდარა. მომავალი მატჩებიდან კი ორი უდიდეს ინტერესს იწვევს — ენდების, როდიკისა და მიურეის ჯახს აქაც ვნახავთ. ამასთანავე ინდიან უელსის ფინალის გადამღერებასაც ვიხილავთ — ნოვაკ ჯოკოვიჩს შანსი ექნება, რაფაელ ნადალზე იძიოს შური.

ქალთა შორის კი უკვე ორი ნახევარფინალისტის ვინაობა გაირკვა — ანა ჩაკვეტაძემ უმძიმეს ორთაბრძოლაში დასცა ნა ლი და ახლა ფინალის საგზურისთვის ჟუსტინ ენინს დაეტაკება.

**კახა ლომჯაშვილი**

---

ბატუტზე ხტომა

# ამერიკამ ქართველებს კანადა აუკრძალა

## რუსუდან ხოფერია საელჩოს ვერ მოერია


რუსუდან ხოფერია და ზაურ სულაშვილი კანადაში ვერ წავიდნენ

**ბატუტზე** ხტომაში მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა რუსუდან ხოფერიამ, როგორც იტყვიან, დედამიწა მოიარა, მაგრამ ვიზებთან დაკავშირებით მაინც პრობლემები ექმნება, აქაოდა, რა გარანტია გვაქვს, რომ სამშობლოში დაბრუნდებიო. „სარბიელის“ სტაჟიან მკითხველს იქნებ ახსოვდეს კიდეც, რომ სიდნეის ოლიმპიურ თამაშებამდე ცოტა ხნით ადრე იქ გამართულ ერთ-ერთ შეჯიბრებაზე ჩასასვლელად რუსუდან ხოფერიას მოსკოვში ავსტრალიის საელჩოში ვიზას რომ არ აძლევდნენ, დიდი სკანდალი ატყდა. ატყდა და ეს სკანდალი ერთი იქაურ მოხელეს თანამდებობის დაკარგვად დაუჯდა.

რუსუდან ხოფერია მსგავს ვითარებაში ახლაც აღმოჩნდა, როცა თბილისში ამერიკის საელჩოს მიაკითხა.

საქმე ისაა, რომ ამერიკის ქალაქ ლეიკ პლესიდში ამ დღეებში ბატუტზე მხტომელთა მსოფლიოს თასის ეტაპი ტარდება, რასაც ოთხდღიანი ინტერვალის შემდეგ კანადაში, კვებეკში გასამართი ანალოგიური ასპარეზობა მოსდევს. ჩვენს ბატუტზე ხტომის ოსტატებს, მათ მწვრთნელებს და შეჯიბრებებზე მსაჯად მიწვეულ რუსუდან ხოფერიას კანადის ვიზები ჯიბეში ედოთ, ამერიკისა კი არა. გუნდის წევრებმა თენგიზ კოშკაძემ, ზურაბ ჭყონიამ, ლიუბა გოლოვინამ, რომელსაც მამამისი ავარჯიშებს, ამერიკის ვიზები დავიდარაბის მერე გუშინწინ საღამოს ძლივს მიიღეს და იმავე ღამეს გაფრინდნენ, რუსუდან ხოფერიასა და საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელს ზაურ სულაშვილს კი ვიზებზე უარი უთხრეს.

ერთი სიტყვით, ჩვენი გუნდი ამერიკასა და კანადაში უპატრონოდ გაემგზავრა.

რუსუდან ხოფერიამ შეჯიბრებათა ორგანიზატორებს შეატყობინა, რომ იგი ამ ასპარეზობებზე ველარ მიემგზავრებოდა, გუშინ კი მას იქიდან აცნობეს, რაკი სამსაჯოდ ველარ ჩამოდიხარ, ორივე შეჯიბრების გაცდენისთვის ჯარიმად 1700-1700 დოლარს გადაიხდითო.

თუ სადმე სამართალია, ეს ჯარიმა ამერიკის საელჩომ უნდა აანაზღაუროს, ზედ მორალური კომპენსაციაც დაურთოს და დამნაშავეც დასაჯოს.

**ავთანდილ ტყვიტელი**

---

ჭადრაკი

**ამბერის ტურნირი**

მონტე კარლო. მონაკო. 17-29 მარტი

IX ტური

| | | |
|---|---|---|
| მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) | 0,5:0,5, 0:1 | ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) |
| პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) | 0,5:0,5, 0:1 | ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) |
| ფრანსისკო ვალეხო (ესპანეთი) | 0,5:0,5, 0:1 | ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) |
| ლევონ არონიანი (სომხეთი) | 1:0, 0:1 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) |
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 0:1, 0,5:0,5 | ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) |
| ბორის გელფანდი (ისრაელი) | 1:0, 0,5:0,5 | თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) |

პირველად მოცემულია დაფაზე დაუხედავი პარტიების შედეგები

# ორი ქულა და ორი ტური

ვლადიმირ კრამნიკმა უკვე ორი ქულით გაუსწრო მდევრებს და პირველ ადგილს ალბათ აღარავის დაუთმობს. მისმა მთავარმა კონკურენტმა ვიშვანათან ანანდმა კი დასანანი ქულა დაკარგა და შესაძლოა მეორე ადგილიც სანატრელი გაუხდეს.

მეცხრე ტურში რუს დიდოსტატს მეტოქედ, 16 წლის მაგნუს კარლსენი ჰყავდა და იოლად დაჯაბნა.

დაფაზედაუხედავ შეხვედრაში მოჭადრაკეებმა ესპანური პარტია გაითამაშეს. კარლსენმა დებიუტში უკანა ფლანგი გააძლიერა, პაიკები გაუშვა წინ და მეტოქეს შეუტია. მოიერიშე პაიკებს კრამნიკმაც პაიკები დაახვედრა, თეთრების შემოტევა მოიგერია და ნორვეგიელს ლაზიერის ფლანგიდან ეტლებით დაარტყა. კარლსენი მსოფლიოს ჩემპიონს გმირულად შეებრძოლა, თუმც ვერაფერი დააკლო და 26-ე სვლაზე ზავი ჩამოუგდო.

კრამნიკმა სწრაფი პარტიაც აქტიურად დაიწყო, პაიკებით შეუტია კარლსენს და ხელმწიფის ფლანგზე გაბატონდა. პატარა ვიკინგმა ლაზიერის ფლანგიდან სცადა რუსის დალაშქვრა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და 24-ე სვლაზე კაპიტულაცია გამოაცხადა.

მეორე ადგილის შანსი გაუჩნდა ვასილ ივანჩუკს. უკრაინელმა პეტერ ლეკოს 1,5:0,5 მოუგო და 11,5 ქულით ანანდს გვერდზე მიუცუცქდა.

**სატურნირო ვითარება**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ვლადიმირ კრამნიკი | 13,5 |
| 2. | ვიშვანათან ანანდი | 11,5 |
| 3. | ვასილ ივანჩუკი | 11,5 |
| 4. | ლევონ არონიანი | 10,5 |
| 5. | პიოტრ სვიდლერი | 10,0 |
| 6. | ბორის გელფანდი | 9,5 |
| 7. | ალექსანდრ მოროზევიჩი | 9,5 |
| 8. | პიოტრ ლეკო | 8,0 |
| 9. | მაგნუს კარლსენი | 8,0 |
| 10. | თეიმურ რაჯაბოვი | 6,5 |
| 11. | ლუკ ვან ველი | 3,5 |
| 12. | ფრანსისკო ვალეხო | 4,5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტორბოლა

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი

AFP



# ნუ დაუშლით კიმის დალევას

## ალონსოს მაკლარენის ჯერ არ სჯერა

**სეზონის** მეორე ეტაპის წინ მეფორმულეები სამდღიან სატესტო სერიას ატარებენ სწორედ იმ ტრასაზე, სადაც რვა აპრილს მალაიზიის „გრან პრი“ გაიმართება.

„სეპანგზე“ სავარჯიშოდ ათი გუნდი შეიკრიბა. არაა მხოლოდ აუტსაიდერი „სპაიკერი“. საჯინიბოს ხელმძღვანელობის თქმით, ისინი აპირებენ, მომავალ რბოლაში თავიანთ მანქანებზე ახალი აეროდინამიკური ელემენტები გამოიყენონ, მაგრამ რაკი სიახლე ჯერ მზად არ არის, ამბობენ, ძველი კონსტრუქციის აეროპაკეტის ტესტირებას რა აზრი აქვსო.

კუალა ლუმპურში არ ჩასულა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ფერნანდო ალონსო, რომელიც ინგლისში, „მაკლარენ-მერსედესის“ ბაზაზე მუშაობს იმ ტექსიახლეებზე, რომელსაც „ვერცხლისფერი ისრები“ უახლოეს ეტაპებზე გამოცდიან: „მომდევნო ორ-სამ რბოლაში ვეცდები, პოდიუმზე შევდგე „ფერარის“ პილოტების შემდეგ და რაც შეიძლება, ბევრი ქულა დავაგროვო, მერე კი გამარჯვების საშუალებაც გამიჩნდება“.

პირველ დღეს ყველას აჯობა შარშანდელი ჩემპიონატის აღმოჩენამ, „BMW-ზაუბერის“ პოლონელმა პილოტმა რობერტ კუბიცამ. მან 92-ჯერ შემოუქროლა „სეპანგის“ ხუთნახევარ კილომეტრიან წრეს და საუკეთესო ცდაზე წამის მეათედი მოუგო წლევანდელი სეზონის სასტარტო, ავსტრალიური ეტაპის გმირ კიმი რაიკონენს.

ფინელის „ფერარიმ“ მელბურნში სწორედ რომ იფრინა, მაგრამ რბოლის ბოლოს გამაციებელი სითხის გაჟონვის გამო ძრავა გადახურდა და ინჟინრები მის შეცვლაზე ბჭობენ. ეს კი კიმის მომავალი ეტაპის სტარტზე ათი პოზიციის დაკარგვად დაუჯდება, რადგან ყოველმა მოტორმა ორ რბოლა-კვალიფიკაციას უნდა გაუძლოს.

საპირველფორმულო საჯინიბოს ექსმფლობელის, ირლანდიელ ედი ჯორდანის აზრით, „ფერარის“ ხელმძღვანელობა არ უნდა ჩაერიოს რაიკონენის პირად საკითხებში, არ ღირს მისი ცხოვრების სტილისა და ჩვევების კორექტირება, თუკი უნდათ, რომ ფინელმა ტიტული მოიპოვოს:

„ცნობილი ფაქტია, რომ ფინელებს უყვართ მოლხენა და ალკოჰოლის გმირული რაოდენობით შესმა. ასე რომ, კიმი ეროვნულ ტრადიციას მისდევს. ირლანდიელები პინტებით სვამენ „გინესს“, ფინელები მათ არაყში არ ჩამორჩებიან. რამდენჯერმე კიმი მთვრალი ნახეს, მერე რა? იგი 27 წლისაა, ჩემი შვილებიც ამ ხნის არიან და მესმის, თუ რა არის მათ ასაკში კარგად ჩაჯდომა. თუ ლაპარაკი არაა სარბოლო უიქენდსა ან ტესტებზე, გუნდი არ უნდა ჩაერიოს. კიმის თანამემამულეებს — მიკა ჰაკინენს და კეკე როსბერგსაც უყვართ დალევა, მაგრამ არც ერთს ამან არ აწყინა, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ორივენი ჩემპიონები იყვნენ. რაიკონენის დონის მრბოლთან კონტრაქტის ხელმოწერისას არ ღირს მისი შეცვლა საკუთარი სტანდარტის შესაბამისად. ჯობს, დათანხმდეთ ცხოვრების იმ წესს, რომელსაც იგი შეეჩვია“.

„სეპანგს“ დავუბრუნდეთ. მესამე შედეგი ჰქონდა ავსტრიელ ალექსანდრ ვურცს („უილიამსი“), მეოთხე — „ჰონდას“ ბრაზილიელ მრბოლ რუბენს ბარიკელოს, მეხუთე — „მაკლარენის“ სათადარიგო მძღოლს, ესპანელ პედრო დე ლა როსას. მხოლოდ მერვე იყო „რედ ბულის“ შოტლანდიელი დევიდ კულჰარდი, რომელიც სწორედ იმ დღეს 36 წლის შესრულდა და ამჟამად „სამეფო რბოლების“ ყველაზე ასაკოვანი პილოტია.

გუშინ ყველაზე სწრაფად რაიკონენმა იჯირითა — კუბიცას დროს წამი ჩამოაკლო. შემდეგ მოდიან ვურცი, კულჰარდი, რალფ შუმახერი („ტოიოტა“), კუბიცა...

**გია ახალაძე**

ველორბოლა

# ჯერ კარპეცი, მერე ვენტოსო

**ცენტრალურ** ესპანეთში რიგით 21-ე „კასტილიისა და ლეონის ვუელტა“ გახურდა. ეს ხუთეტაპა რბოლა „პრო-ტურის“ სერიაში არ შედის, თუმცაღა შემადგენლობა მაინც გვარიანი შეიკრიბა.

პირველი ეტაპი, 10 კილომეტრზე ინდივიდუალური რბოლა ქალაქ ზამორაში, წვიმიან ამინდში ჩატარდა და ესპანური ველოგუნდის „კაისე დეპარგნეს“ რუსი მრბოლის ვლადიმირ კარპეცის გამარჯვებით დასრულდა. კარპეცს რაგინდარა რბოლის ეტაპი 2004 წლის შემდეგ არ მოეგო და ფინიშის შემდეგ ფრიად ბედნიერი გახლდათ — ბოლო ხანებში ველარაფრით ვახერხებდი მოგებას, განსაკუთრებით ინდივიდუალურ რბოლებში არ მიმართლებდა, ხან მეორე ვიყავი, ხანაც მესამე და აჰა, როგორც იქნა გამარჯვებაც მოვიპოვეო — ასე ლაპარაკობდა.

კარპეცმა 10 კილომეტრი 11 წუთსა და 55 წამში დაფარა და 2 წამით აჯობა ესპანელ ეგოი მარტინესს, ვინც ამერიკული „დისქოვერის“ წევრია და სამით — თავის ფრანგ თანაგუნდელ ფლორან ბრარს.



ფრანსისკო ვენტოსო

მეორე ეტაპი ზამორადან სალამანკამდე 157 კილომეტრზე იყო გაჭიმული. ამჯერად მასპინძლებმა ივარგეს. სალამანკას ქუჩებში ჯგროდ შეჭრილმა ველოსიპედისტებმა ჯგუფური ფინიში მოაწყვეს და ყველაზე მარდი „სონი დიუვალის“ 24 წლის მრბოლი ფრანსისკო ვენტოსო გამოდგა, რომელმაც მცირედით აჯობა პორტუგალიური „ბენფიკას“ წევრ თანამემამულე ხავიერ ბენიტესსა და „რელიქსის“ ჩეხ მრბოლიან პრუშკას.

საერთო ჩათვლაში წინ ინდივიდუალურ რბოლაში საუკეთესონი — კარპეცი, მარტინესი და ბრარი არიან. ვენტოსო კარპეტს ხუთი წამით ჩამორჩება, ხოლო მეხუთე ადგილზე, ლიდერთან ექვსი წამით უკან, ახლახან დასრულებული „პარიზი-ნიცას“ ესპანელი ტრიუმფატორი ალბერტო კონტადორია.

კრივი

# ფლოიდ მეივეზერი: ოსკარი და მორჩა



AFP

**მსოფლიოს** უძლიერეს მოკრივედ მიჩნეული ფლოიდ მეივეზერ უმცროსი 5 მაისს გასამართი ბრძოლის შემდეგ, როდესაც ის ოსკარ დე ლა ჰოიას დაეტაკება, რინგის მიტოვებას და ხელთათმანების ლურსმანზე ჩამოკიდებას აპირებს. ყოველ შემთხვევაში, ასე განაცხადა ლეონარდ ელერბემ, რომლის სიტყვებიც ფრიად სანდოა, რადგან ის არა მარტო მეივეზერის პრომოუტერი, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მისი უახლოესი მეგობარიცაა.

„ეს ბრძოლა უეჭველად ბოლო იქნება მის პროფესიონალურ კარიერაში. ძნელი წარმოსადგენია, რა ექსტრაორდინალური რამ უნდა მოხდეს, რომ მან რინგზე დაბრუნება მოისურვოს“ — განაცხადა ელერბემ.

პრომოუტერის თქმით, მეივეზერს სურს, ის წავიდეს კრივიდან, რომ თავი ყველას უნიკალური შედეგებით დაამახსოვროს:

„ის 5 მაისს გამარჯვებას და ოსკარისთვის პირველ საშუალო წონაში საჩემპიონო ქამრის ართმევას გეგმავს. ამის შემდეგ ფლოიდი პირველი მოკრივე იქნება, ვინც ცხრა წლის განმავლობაში ექვსი ტიტულის მოპოვება შეძლო ხუთ სხვადასხვა წონაში. თან ეს ყველაფერი ისე მოახერხა, რომ ერთხელაც არ დამარცხებულა“.

**კახა ლომაშვილი**

ჰოკეი

# რეგულარული ჩემპიონატი

27 მარტი

**ვაშინგტონი 3:4 პიტსბურგი**

*2:1 0:3 1:0*

1:0 სიომინი (6), 2:0 გორდონი (10), 2:1 უილე (13), 2:2 უიტნი (22), 2:3 კროსბი (27), 2:4 უიტნი (36), 3:4 იურჩინა (60)

**ტორონტო 6:1 კაროლინა**

*3:1 2:0 1:0*

1:0 დევრო (1), 1:1 სტაალი (3), 2:1 კუბინა (15), 3:1 კოლგერი (18), 4:1 კოლგერი (28), 5:1 პერო (32), 6:1 პონიკაროვსკი (46)

**ოტავა 2:3 ბოსტონი**

*1:1 1:2 0:0*

1:0 პიტლი (1), 1:1 ბერჟერონი (8), 2:1 ფიშერი (22), 2:2 კალუში (25), 2:3 ჩარა (25)

**ნეშვილი 4:3 ედმონტონი**

*0:0 2:1 2:2*

0:1 პემსკი (22), 1:1 ვებერი (24), 2:1 რადულოვი (25), 2:2 სიკორა (43), 2:3 პეტერსენი (46), 3:3 არნოტი (47), 4:3 დიუმონი (49)

**დალასი 6:0 ფინიქსი**

*1:0 2:0 3:0*

1:0 რიბეირო (10), 2:0 ლეპტინენი (34), 3:0 მოდანო (36), 4:0 ნადი (44), 5:0 ერიკსონი (47), 6:0 რიბეირო (51)

**მინესოტა 0:1 კალგარი**

*0:0 0:0 0:0 0:0 (0:1 ბულიტები)*

**სან ხოსე 3:1 ლოს ანჯელესი**

*1:0 0:1 2:0*

1:0 მარლო (9), 1:1 უილსი (33), 2:1 გერინი (45), 3:1 მარლო (50)

**აილენდერსი 2:3 ნიუ ჯერსი**

*0:1 1:1 1:1*

0:1 პარიზე (7), 0:2 გომესი (26), 1:2 იაშინი (31), 1:3 კლარკსონი (45), 2:3 ბლეიკი (54)

**სენტ ლუისი 1:4 კოლუმბუსი**

*0:1 1:2 0:1*

0:1 პეინსი (16), 0:2 მოდინი (41), 0:3 მოდინი (32), 1:3 ბრიუერი (36), 1:4 ნეში (46)

**მონრეალი 6:4 რეინჯერსი**

*0:2 5:0 1:2*

0:1 ნიულანდერი (12), 0:2 მარა (20), 1:2 კოვალიოვი (23), 2:2 ბეგინი (23), 3:2 რაიდერი (25), 4:2 პლეკანეცი (30), 5:2 კოვალიოვი (35), 5:3 პოკი (47), 5:4 კალენი (48), 6:4 შტრაიტი (54)

**ტამპა 2:5 ფლორიდა**

*0:0 1:3 1:2*

1:0 რიჩარდსი (26), 1:1 უაიზი (31), 1:2 ჰორტონი (33), 1:3 იოკინენი (40), 2:3 კუბა (50), 2:4 ალენი (60), 2:5 ჰორტონი (60)

**კოლორადო 0:3 ვანკუვერი**

*0:0 0:0 0:3*

0:1 სალო (43), 0:2 კუკი (60), 0:3 დ. სედინი (60)



AFP

მაიკლ ნიულანდერმა ანგარიში კი გახსნა, მაგრამ მისმა „რეინჯერსმა“ „მონრეალთან“ მაინც წააგო

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 15:45 | 1 | ლივერპული-არსენალი | 2.15 | 3.20 | 3.30 | 1.28 | 1.30 | 1.62 |
| 18:00 | 2 | ბოლტონი-შეფილდი | 1.60 | 3.40 | 6.20 | 1.08 | 1.27 | 2.19 |
| 18:00 | 3 | ჩარლტონი-უიგანი | 2.15 | 3.20 | 3.30 | 1.28 | 1.30 | 1.62 |
| 18:00 | 4 | ფულემი-პორტსმუთი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 18:00 | 5 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 1.30 | 4.80 | 10.00 | 1.02 | 1.15 | 3.24 |
| 18:00 | 7 | ნიუკასლი-სიტი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 18:00 | 8 | ვესტ ჰემი-მიდლსბრო | 2.20 | 3.20 | 3.20 | 1.30 | 1.30 | 1.60 |
| 20:15 | 9 | უოტფორდი-ჩელსი | 9.00 | 4.50 | 1.32 | 3.00 | 1.15 | 1.02 |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 11 | ტოტენჰემი-რედინგი | 1.70 | 3.30 | 5.20 | 1.12 | 1.28 | 2.01 |
| | | 2 აპრილი | | | | | | |
| 23:00 | 12 | ასტონ ვილა-ევერტონი | 2.50 | 3.20 | 2.75 | 1.40 | 1.30 | 1.47 |
| | | ინგლისი. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 30 მარტი | | | | | | |
| 22:45 | 20 | ლიდსი-პრესტონი | 3.00 | 3.20 | 2.25 | 1.54 | 1.28 | 1.32 |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 13 | ბარნსლი-დერბი | 3.00 | 3.20 | 2.25 | 1.54 | 1.28 | 1.32 |
| 18:00 | 14 | ბარნლი-ლუტონი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 18:00 | 15 | კარდიფი-სანდერლენდი | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| 18:00 | 16 | კოლჩესტერი-ნორვიჩი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 18:00 | 17 | კრისტალ პალასი-უენსდი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 18:00 | 18 | ჰალი-საუთენდი | 2.00 | 3.20 | 3.60 | 1.23 | 1.28 | 1.69 |
| 18:00 | 19 | იფსვიჩი-პლიმუთი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 18:00 | 21 | ქპრ-ვესტ ბრომვიჩი | 3.00 | 3.20 | 2.25 | 1.54 | 1.28 | 1.32 |
| 18:00 | 22 | სტოკი-ლესტერი | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 18:00 | 23 | ვულვერჰემპტონი-საუთჰემპტონი | 1.95 | 3.20 | 3.75 | 1.21 | 1.28 | 1.72 |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 17:00 | 24 | ბირმინგემი-ქოვენტრი | 1.55 | 3.50 | 6.30 | 1.07 | 1.24 | 2.25 |
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 30 მარტი | | | | | | |
| 22:45 | 26 | ტრანმერი-კარლაილი | 1.90 | 3.20 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 27 | ბლეკპული-ქრიუ | 1.70 | 3.30 | 4.70 | 1.12 | 1.24 | 1.93 |
| 18:00 | 28 | ბრისტოლი-ნოტინგემი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 18:00 | 29 | ჩელტენემი-ლეიტონი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 18:00 | 30 | ჯილინგემი-ბრენტფორდი | 1.75 | 3.40 | 4.20 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| 18:00 | 31 | ჰადერსფილდი-პორტ ვეილი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 18:00 | 32 | მილუოლი-ხუონსი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 18:00 | 33 | ნორთჰემპტონი-ბრაიტონი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 18:00 | 34 | ოლდემი-იოვილი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 18:00 | 35 | როტერჰემი-ბორნმუთი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 18:00 | 36 | სკანთორპი-ბრედფორდი | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 30 მარტი | | | | | | |
| 22:45 | 39 | ჰარტლპული-ჩესტერი | 1.45 | 3.70 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.42 |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 40 | ბარნეტი-დარლინგტონი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 18:00 | 41 | ბოსტონი-ბერი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 18:00 | 42 | ჰერეფორდი-დონსი | 2.75 | 3.20 | 2.35 | 1.47 | 1.26 | 1.35 |
| 18:00 | 43 | ნოტსი-გრიმსბი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 18:00 | 44 | პიტერბრო-უიკომბი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 18:00 | 45 | როჩდეილი-ლინკოლნი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 18:00 | 46 | სუინდონი-შრიუსბერი | 1.80 | 3.40 | 4.00 | 1.17 | 1.24 | 1.83 |
| 18:00 | 47 | ტორკი-სტოკპორტი | 2.85 | 3.20 | 2.25 | 1.50 | 1.25 | 1.32 |
| 18:00 | 48 | უოლსოლი-აკრინგტონი | 1.50 | 3.50 | 6.70 | 1.04 | 1.22 | 2.29 |
| 18:00 | 49 | რექსემი-მენსფილდი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| | | შოტლანდია. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 15:30 | 73 | დანდი იუნაიტედი-სელტიკი | 6.50 | 3.80 | 1.45 | 2.39 | 1.18 | 1.04 |
| 18:00 | 75 | ფოლკირკი-სტ.მირენი | 1.90 | 3.20 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| 18:00 | 76 | კილმარნოკი-აბერდინი | 2.60 | 3.40 | 2.30 | 1.47 | 1.22 | 1.37 |
| 18:00 | 77 | მოზერუელი-დანფერმლაინი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 18:00 | 78 | რეინჯერსი-ინვერნესი | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 17:00 | 80 | ჰიბერნიანი-ჰარტსი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| | | შოტლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 81 | კლაიდი-ქუინი | 2.30 | 3.40 | 2.60 | 1.37 | 1.22 | 1.47 |
| 18:00 | 83 | გრეტნა-პარტიკი | 1.30 | 4.30 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.90 |
| 18:00 | 84 | ჰამილტონი-როსი | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 18:00 | 85 | სტ-ჯონსტონი-ლივინგსტონი | 1.55 | 3.40 | 5.50 | 1.06 | 1.20 | 2.10 |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 82 | დანდი-ერდრი | 1.85 | 3.40 | 3.60 | 1.19 | 1.22 | 1.74 |
| | | შოტლანდია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 86 | ალოა-ბრეჩინი | 2.45 | 3.30 | 2.50 | 1.40 | 1.23 | 1.42 |
| 18:00 | 87 | ფორფარი-სტირლინგი | 7.50 | 4.10 | 1.35 | 2.65 | 1.14 | 1.01 |
| 18:00 | 88 | მორტონი-კოუდენბითი | 1.40 | 3.90 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.50 |
| 18:00 | 89 | პიტერჰედი-ეარი | 2.45 | 3.30 | 2.45 | 1.40 | 1.22 | 1.40 |
| 18:00 | 90 | რეითი-სტრანრარი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| | | შოტლანდია. III დივიზიონი | | | | | | |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 91 | ალბიონი-არბროთი | 3.90 | 3.50 | 1.75 | 1.84 | 1.20 | 1.16 |
| 18:00 | 92 | დამბარტონი-ელგინი | 1.80 | 3.40 | 3.70 | 1.17 | 1.21 | 1.77 |
| 18:00 | 93 | ისტ ფაიფი-მონტროუზი | 1.50 | 3.70 | 5.50 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| 18:00 | 94 | ისტ სტირლინგი-ბერვიკი | 9.00 | 4.80 | 1.25 | 3.13 | 1.09 | 1.00 |
| 18:00 | 95 | ქუინზ პარკი-სტენჰაუზმური | 1.55 | 3.60 | 5.30 | 1.08 | 1.19 | 2.14 |
| | | გერმანია. I ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 30 მარტი | | | | | | |
| 22:30 | 97 | არმინია-დორტმუნდი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 17:30 | 96 | ბაიერნი-შალკე | 1.85 | 3.30 | 4.00 | 1.18 | 1.26 | 1.80 |
| 17:30 | 99 | კოტბუსი -ვერდერი | 3.90 | 3.30 | 1.85 | 1.78 | 1.25 | 1.18 |
| 17:30 | 102 | მაინცი-ლევერკუზენი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 17:30 | 103 | მიონხენგლადბახი-აინტრახტი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 17:30 | 104 | ნიურნბერგი-ჰერტა | 1.95 | 3.20 | 3.65 | 1.21 | 1.27 | 1.70 |
| 17:30 | 105 | შტუტგარტი-ალემანია | 1.65 | 3.50 | 4.80 | 1.12 | 1.22 | 2.02 |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 98 | ბოხუმი-ჰანოვერი | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 19:00 | 101 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 1.80 | 3.40 | 4.20 | 1.17 | 1.25 | 1.87 |
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 30 მარტი | | | | | | |
| 20:00 | 109 | ბურგჰაუზენი-უნტერჰახინგი | 2.10 | 3.10 | 3.20 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| 20:00 | 110 | კარლ ცაისი-ჰანზა | 2.90 | 3.10 | 2.25 | 1.49 | 1.26 | 1.30 |
| 20:00 | 114 | პადერბორნი-კარლსრუე | 2.90 | 3.20 | 2.15 | 1.52 | 1.23 | 1.28 |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 16:00 | 107 | აუგსბურგი-აუე | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 16:00 | 108 | ბრაუნშვაიგი-ფრაიბურგი | 4.30 | 3.30 | 1.70 | 1.86 | 1.21 | 1.12 |
| 16:00 | 112 | კიოლნი-კობლენცი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 16:00 | 113 | ოფენბახი-ფიურტი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 16:00 | 115 | ესენი-მიუნხენი 1860 | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| | | 2 აპრილი | | | | | | |
| 22:15 | 111 | კაიზერსლაუტერნი-დუისბურგი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| | | ავსტრია. ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 20:30 | 134 | რაპიდი-ზალცბურგი | 2.90 | 3.10 | 2.20 | 1.49 | 1.25 | 1.28 |
| 20:30 | 137 | ტიროლი-მატერსბურგი | 2.20 | 3.10 | 3.00 | 1.28 | 1.26 | 1.52 |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 17:30 | 138 | ალტახი-აუსტრია | 3.10 | 3.20 | 2.10 | 1.57 | 1.25 | 1.26 |
| | | შვეიცარია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 19:45 | 145 | ლუცერნი-შაფჰაუზენი | 1.65 | 3.40 | 4.70 | 1.11 | 1.22 | 1.97 |
| 19:45 | 146 | იანგ ბოიზი-გრასჰოპერი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 147 | ბაზელი-თუნი | 1.30 | 4.40 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.89 |
| 18:00 | 148 | სიონი-აარაუ | 1.65 | 3.40 | 4.65 | 1.11 | 1.21 | 1.96 |
| 18:00 | 149 | ციურიხი-სტ.გალენი | 1.60 | 3.60 | 5.00 | 1.10 | 1.21 | 2.09 |
| | | იტალია. სერია A | | | | | | |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 20:00 | 166 | რეჯინა-სიენა | 1.90 | 2.90 | 4.50 | 1.14 | 1.33 | 1.76 |
| 22:30 | 167 | რომა-მილანი | 2.35 | 2.90 | 3.10 | 1.29 | 1.33 | 1.49 |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 17:00 | 159 | ატალანტა-ფიორენტინა | 3.10 | 2.80 | 2.40 | 1.47 | 1.35 | 1.29 |
| 17:00 | 160 | კალიარი-მესინა | 1.90 | 2.90 | 4.40 | 1.14 | 1.32 | 1.74 |
| 17:00 | 161 | კიევო-სამპდორია | 2.40 | 2.90 | 3.00 | 1.31 | 1.33 | 1.47 |
| 17:00 | 162 | ემპოლი-ასკოლი | 1.55 | 3.40 | 6.50 | 1.06 | 1.25 | 2.23 |
| 17:00 | 163 | ინტერი-პარმა | 1.20 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.77 |
| 17:00 | 165 | ლივორნო-კატანია | 2.00 | 2.90 | 4.00 | 1.18 | 1.33 | 1.68 |
| 17:00 | 168 | ტორინო-პალერმო | 2.55 | 2.80 | 2.80 | 1.33 | 1.33 | 1.39 |
| 22:30 | 170 | უდინეზე-ლაციო | 2.75 | 2.80 | 2.65 | 1.38 | 1.34 | 1.36 |
| | | იტალია. სერია B | | | | | | |
| | | 30 მარტი | | | | | | |
| 23:00 | 174 | ჯენოა-ალბინოლეფე | 1.50 | 3.30 | 7.00 | 1.03 | 1.23 | 2.24 |
| 21:00 | 182 | ვიჩენცა-სპეცია | 1.80 | 2.80 | 5.35 | 1.09 | 1.34 | 1.83 |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 173 | ფროზინონე-ჩეზენა | 2.45 | 2.70 | 3.00 | 1.28 | 1.34 | 1.42 |
| 18:00 | 175 | ლეჩე-პიაჩენცა | 2.50 | 2.70 | 3.00 | 1.29 | 1.36 | 1.42 |
| 18:00 | 176 | მანტოვა-ბრეშა | 1.90 | 2.80 | 4.50 | 1.13 | 1.33 | 1.72 |
| 18:00 | 177 | მოდენა-კროტონე | 2.00 | 2.70 | 4.20 | 1.14 | 1.35 | 1.64 |
| 18:00 | 178 | ნაპოლი-ბარი | 1.50 | 3.20 | 7.50 | 1.02 | 1.25 | 2.24 |
| 18:00 | 179 | პესკარა-იუვენტუსი | 12.00 | 4.80 | 1.22 | 3.42 | 1.10 | 1.00 |
| 18:00 | 180 | რიმინი-ტრევიზო | 1.75 | 2.80 | 5.50 | 1.07 | 1.32 | 1.85 |
| 18:00 | 181 | ტრიესტინა-ვერონა | 2.20 | 2.70 | 3.55 | 1.21 | 1.35 | 1.53 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ესპანეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 202 | ბარსელონა-დეპორტივო | 1.35 | 4.10 | 9.00 | 1.01 | 1.17 | 2.81 |
| 20:00 | 204 | ბეტისი-ვილიარეალი | 2.20 | 3.10 | 3.20 | 1.28 | 1.30 | 1.57 |
| 22:00 | 212 | სოსიედადი-ლევანტე | 2.30 | 3.10 | 3.00 | 1.32 | 1.30 | 1.52 |
| 22:00 | 213 | ვალენსია-ესპანიოლი | 1.60 | 3.40 | 5.30 | 1.08 | 1.22 | 2.07 |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 201 | ატლეტიკო-მალიორკა | 1.65 | 3.50 | 5.00 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| 21:00 | 205 | სელტა-რეალი | 4.40 | 3.20 | 1.80 | 1.85 | 1.27 | 1.15 |
| 19:00 | 207 | ხეტაფე-სარაგოსა | 2.30 | 3.10 | 3.00 | 1.32 | 1.30 | 1.52 |
| 19:00 | 208 | ტარაგონა-უელვა | 2.60 | 3.10 | 2.60 | 1.41 | 1.29 | 1.41 |
| 23:00 | 209 | ოსასუნა-სევილია | 3.30 | 3.20 | 2.10 | 1.62 | 1.28 | 1.26 |
| 19:00 | 211 | რასინგი-ბილბაო | 1.85 | 3.20 | 4.10 | 1.17 | 1.27 | 1.79 |
| | | ესპანეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 20:30 | 218 | ლას პალმასი-მურსია | 2.70 | 2.90 | 2.60 | 1.39 | 1.32 | 1.37 |
| 20:30 | 219 | ლორკა-ელჩე | 2.60 | 2.90 | 2.60 | 1.37 | 1.29 | 1.37 |
| 20:30 | 224 | ხერესი-რეალი(ბ) | 1.80 | 3.10 | 4.10 | 1.13 | 1.25 | 1.76 |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 20:00 | 214 | ალავესი-პერკულესი | 2.10 | 2.90 | 3.35 | 1.21 | 1.29 | 1.55 |
| 19:00 | 215 | ალბასეტე-კასტელონი | 1.75 | 3.20 | 4.30 | 1.13 | 1.24 | 1.83 |
| 19:00 | 216 | სიუდადი-ტენერიფე | 1.80 | 3.10 | 4.20 | 1.13 | 1.25 | 1.78 |
| 14:00 | 217 | სპორტინგი-ალმერია | 2.60 | 2.90 | 2.65 | 1.37 | 1.31 | 1.38 |
| 20:00 | 220 | ნუმანსია-კადისი | 2.15 | 2.90 | 3.30 | 1.23 | 1.30 | 1.54 |
| 20:00 | 221 | ეხიდო-ვეცინდარიო | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| 20:00 | 222 | სალამანკა-პონფერადინა | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 19:30 | 223 | ვალიადოლიდი-მალაგა | 1.50 | 3.60 | 5.80 | 1.05 | 1.19 | 2.22 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 19:10 | 231 | ლორიანი-მარსელი | 2.85 | 2.80 | 2.55 | 1.41 | 1.34 | 1.33 |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 227 | ლე მანი-ოსერი | 2.30 | 2.80 | 3.30 | 1.26 | 1.35 | 1.51 |
| 23:00 | 228 | ლანსი-პსჟ | 1.95 | 3.00 | 4.00 | 1.18 | 1.31 | 1.71 |
| 18:00 | 229 | ლილი-ვალენსიენი | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| 16:00 | 234 | ნანტი-სედანი | 1.95 | 2.90 | 4.30 | 1.16 | 1.34 | 1.73 |
| 18:00 | 235 | ნიცა-მონაკო | 2.50 | 2.90 | 2.90 | 1.34 | 1.34 | 1.45 |
| 18:00 | 236 | ტულუზი-სტ.ეტიენი | 2.20 | 2.90 | 3.40 | 1.25 | 1.33 | 1.56 |
| 18:00 | 237 | ტრუა-სოშო | 2.45 | 2.80 | 3.10 | 1.30 | 1.36 | 1.47 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 30 მარტი | | | | | | |
| 22:00 | 238 | ბასტია-ტუარი | 1.45 | 3.70 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.28 |
| 22:00 | 239 | ბრესტი-შატორუ | 2.40 | 2.80 | 2.85 | 1.29 | 1.30 | 1.41 |
| 22:00 | 240 | დიჟონი-ამიენი | 2.35 | 2.90 | 2.90 | 1.29 | 1.29 | 1.45 |
| 22:00 | 241 | გენიონი-გრენობლი | 2.15 | 2.70 | 3.50 | 1.19 | 1.33 | 1.52 |
| 22:00 | 242 | ისტრი-აიაჩო | 2.40 | 3.00 | 2.70 | 1.33 | 1.27 | 1.42 |
| 22:00 | 243 | ლიბურნი-კრეტეი | 1.80 | 3.00 | 4.20 | 1.12 | 1.25 | 1.75 |
| 22:00 | 244 | მეცი-გენგამი | 1.45 | 3.70 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.28 |
| 22:00 | 245 | მონპელიე-ნიორი | 2.00 | 2.70 | 3.90 | 1.14 | 1.32 | 1.59 |
| 22:30 | 246 | კაენი-სტრასბური | 2.25 | 2.80 | 3.10 | 1.24 | 1.30 | 1.47 |
| | | 2 აპრილი | | | | | | |
| 22:30 | 247 | რეიმსი-ლე ავრი | 2.60 | 2.90 | 2.60 | 1.37 | 1.29 | 1.37 |
| | | ბელგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 30 მარტი | | | | | | |
| 22:30 | 248 | ბრიუსელი-გენტი | 3.00 | 3.20 | 2.15 | 1.54 | 1.25 | 1.28 |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 22:00 | 249 | სერკლი-რუზელარე | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 22:00 | 250 | შარლერუა-ბეერსხოტი | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 22:00 | 251 | ლიერსი-ანდერლეხტი | 6.00 | 4.00 | 1.45 | 2.40 | 1.16 | 1.06 |
| 22:00 | 252 | ლოკერენი-ვესტერლო | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 22:00 | 253 | სტანდარდი-ბევერენი | 1.22 | 5.20 | 9.50 | 1.00 | 1.08 | 3.36 |
| 22:00 | 254 | ვარეგემი-მონსი | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 20:00 | 255 | მუსკრონი-ბრიუგე | 3.55 | 3.20 | 1.90 | 1.68 | 1.23 | 1.19 |
| 22:30 | 256 | გენკი-სტ.ტრუიდენი | 1.28 | 4.50 | 8.50 | 1.00 | 1.11 | 2.94 |
| | | ჰოლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 30 მარტი | | | | | | |
| 22:30 | 266 | როდა-გრონინგენი | 1.85 | 3.30 | 3.90 | 1.18 | 1.25 | 1.78 |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 21:30 | 267 | ბრედა-პსვ | 4.70 | 3.50 | 1.67 | 2.00 | 1.23 | 1.13 |
| 21:30 | 268 | ტილბურგი-ნაიმეგენი | 2.25 | 3.30 | 2.90 | 1.33 | 1.26 | 1.54 |
| 22:00 | 269 | ალკმაარი-ვალვაიკი | 1.20 | 5.20 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.62 |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 14:30 | 271 | ვიტესი-ფეიენოორდი | 2.75 | 3.40 | 2.25 | 1.52 | 1.23 | 1.35 |
| 16:30 | 272 | აიაქსი-პერაკლესი | 1.10 | 8.00 | 18.00 | 1.00 | 1.03 | 5.53 |
| 16:30 | 274 | ესელსიორი-დენ ჰააგი | 1.95 | 3.40 | 3.30 | 1.23 | 1.22 | 1.67 |
| 16:30 | 275 | სპარტა-პერენვენი | 2.90 | 3.30 | 2.25 | 1.54 | 1.26 | 1.33 |
| 16:30 | 276 | ტვენტე-უტრეხტი | 1.55 | 3.55 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.23 |
| | | ჰოლანდია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 30 მარტი | | | | | | |
| 22:00 | 277 | აპელდორნი-ვოლენდამი | 3.30 | 3.20 | 2.00 | 1.62 | 1.24 | 1.23 |
| 22:00 | 278 | ვეენდამი-ტელსტარი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 22:00 | 279 | კამბური-ვენლო | 3.40 | 3.30 | 1.95 | 1.67 | 1.23 | 1.22 |
| 22:00 | 280 | გრააფსხაპი-ემენი | 1.37 | 4.00 | 7.00 | 1.02 | 1.14 | 2.54 |
| 22:00 | 281 | დენ ბოსხი-ჰელმონდი | 1.50 | 3.50 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| 22:00 | 282 | დორდრეხტი-სიტარდი | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 22:00 | 283 | ეინდჰოვენი-ოსი | 2.50 | 3.10 | 2.55 | 1.38 | 1.26 | 1.39 |
| 22:00 | 284 | ჰაარლემი-მაასტრიხტი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 22:00 | 285 | ალმერე-იგლსი | 2.50 | 3.10 | 2.50 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| 22:00 | 286 | როზენდალი-ზვოლე | 1.80 | 3.20 | 3.90 | 1.15 | 1.23 | 1.75 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | პორტუგალია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 22:00 | 288 | ბელენენსეში-ავეში | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| 23:45 | 290 | ბოავიშტა-ფერეირა | 2.15 | 3.00 | 3.30 | 1.25 | 1.30 | 1.57 |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 287 | აკადემიკა-ლეირია | 2.50 | 3.00 | 2.70 | 1.36 | 1.29 | 1.42 |
| 23:45 | 289 | ბენფიკა-პორტუ | 2.30 | 3.20 | 2.90 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 21:00 | 291 | მარიტიმუ-ბრაგა | 2.30 | 3.10 | 2.90 | 1.32 | 1.28 | 1.49 |
| 19:00 | 292 | ნავალი-ნასიონალი | 2.30 | 3.10 | 2.90 | 1.32 | 1.28 | 1.49 |
| 19:00 | 293 | სეტუბალი-ამადორა | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| | | 2 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 294 | სპორტინგი-ბეირა მარი | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| | | საბერძნეთი | | | | | | |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 303 | აეკ-ეგალეო | 1.20 | 5.50 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.66 |
| 19:00 | 304 | არისი-ერგოტელისი | 1.65 | 3.30 | 5.20 | 1.10 | 1.25 | 2.01 |
| 19:00 | 305 | ატრომიტოსი-პანიონიოსი | 2.10 | 3.00 | 3.40 | 1.23 | 1.29 | 1.59 |
| 19:00 | 306 | კალამარია-პანათინაიკოსი | 4.00 | 3.10 | 1.90 | 1.74 | 1.28 | 1.17 |
| 19:00 | 307 | კერკირა-ირაკლისი | 2.00 | 3.10 | 3.50 | 1.21 | 1.27 | 1.64 |
| 19:00 | 308 | ოლიმპია-ოლიმპიაკოსი | 3.70 | 3.00 | 2.00 | 1.65 | 1.29 | 1.20 |
| 19:00 | 309 | ოფი-იონიკოსი | 1.12 | 7.00 | 12.00 | 1.00 | 1.02 | 4.42 |
| 19:00 | 310 | პაოკ-ქსანთი | 1.70 | 3.20 | 5.00 | 1.11 | 1.26 | 1.95 |
| | | თურქეთი | | | | | | |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 20:00 | 315 | ერჯიესი-ტრაბზონი | 2.80 | 3.30 | 2.25 | 1.51 | 1.24 | 1.33 |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 20:00 | 311 | ანკარაგიუჯიუ-გალათასარაი | 3.20 | 3.20 | 2.05 | 1.60 | 1.24 | 1.24 |
| 16:00 | 313 | ანტალია-მანისა | 2.00 | 3.30 | 3.30 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 16:00 | 314 | ბურსა-კონია | 2.05 | 3.30 | 3.20 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| 16:00 | 316 | ფენერბაჰჩე-ანკარა | 1.25 | 4.70 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.19 |
| 16:00 | 319 | რიზე-დენიზლი | 2.00 | 3.30 | 3.30 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 16:00 | 320 | საკარია-გაზიანთეფი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 16:00 | 321 | სივასპორი-კაისერი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| | | 2 აპრილი | | | | | | |
| 21:00 | 318 | გენჩლერბირლიგი-ბეშიქთაში | 2.80 | 3.30 | 2.25 | 1.51 | 1.24 | 1.33 |
| | | რუსეთი | | | | | | |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 14:00 | 322 | ამკარი-დინამო მ | 2.40 | 2.80 | 3.00 | 1.29 | 1.33 | 1.44 |
| 14:00 | 323 | ცსკა მ-ლოკომოტივი | 2.05 | 3.00 | 3.45 | 1.21 | 1.28 | 1.60 |
| 14:00 | 324 | კრილია-მოსკოვი | 2.65 | 2.80 | 2.70 | 1.36 | 1.33 | 1.37 |
| 14:00 | 325 | რუბინი-ხიმკი | 1.55 | 3.30 | 6.00 | 1.05 | 1.23 | 2.12 |
| 14:00 | 326 | ტომსკი-სატურნი | 2.55 | 2.70 | 2.90 | 1.31 | 1.35 | 1.39 |
| 14:00 | 327 | ზენიტი-სპარტაკი მ | 2.00 | 3.00 | 3.50 | 1.20 | 1.27 | 1.61 |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 14:00 | 328 | ენერგია-როსტოვი | 1.33 | 3.90 | 8.00 | 1.00 | 1.14 | 2.62 |
| 15:00 | 329 | ყუბანი-ნალჩიკი | 1.80 | 3.20 | 4.20 | 1.15 | 1.25 | 1.81 |
| | | ჩეხეთი | | | | | | |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 21:00 | 338 | სლოვაცკო-ბუდეიოვიცე | 2.45 | 2.90 | 2.75 | 1.32 | 1.29 | 1.41 |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 17:00 | 339 | პლზენი-ზლინი | 1.75 | 3.20 | 4.30 | 1.13 | 1.24 | 1.83 |
| 19:00 | 340 | ბრნო-ლიბერეცი | 2.30 | 3.00 | 2.90 | 1.30 | 1.28 | 1.47 |
| 19:00 | 341 | იაბლონეცი-პრჟიბრამი | 1.60 | 3.50 | 4.85 | 1.09 | 1.20 | 2.03 |
| 19:00 | 342 | კლადნო-ბანიკი | 2.55 | 3.10 | 2.55 | 1.39 | 1.27 | 1.39 |
| 19:00 | 343 | მოსტი-ტეპლიცე | 2.10 | 3.00 | 3.30 | 1.23 | 1.28 | 1.57 |
| 22:15 | 344 | სიგმა-სლავია | 3.40 | 3.20 | 1.95 | 1.64 | 1.23 | 1.21 |
| | | 2 აპრილი | | | | | | |
| 19:15 | 345 | სპარტა-ბოლესლავი | 1.45 | 3.80 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| | | დანია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 356 | ჰორსენსი-კოპენჰაგენი | 6.00 | 3.70 | 1.50 | 2.28 | 1.20 | 1.06 |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 17:00 | 357 | მიდტიულანდი-ესბიერგი | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 17:00 | 358 | ნორდსიელანდი-ვიბორგი | 2.00 | 3.40 | 3.40 | 1.25 | 1.25 | 1.70 |
| 17:00 | 359 | სილკებორგი-რანდერსი | 2.50 | 3.30 | 2.50 | 1.42 | 1.25 | 1.42 |
| 19:00 | 360 | ოდენსე-ოლბორგი | 2.05 | 3.30 | 3.30 | 1.26 | 1.26 | 1.64 |
| 21:00 | 361 | ბრიონდბიუ-ვეილე | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| | | ირლანდია | | | | | | |
| | | 30 მარტი | | | | | | |
| 22:45 | 370 | კორკი-ლონგფორდი | 1.40 | 3.80 | 6.50 | 1.02 | 1.15 | 2.39 |
| 22:45 | 371 | დროგედა-დერი | 2.30 | 3.00 | 2.85 | 1.30 | 1.27 | 1.46 |
| 22:45 | 372 | სტ.პატრიკსი-ბრეი | 1.55 | 3.40 | 5.20 | 1.06 | 1.19 | 2.05 |
| 22:45 | 373 | უოტერფორდი-ბოჰემიანი | 2.90 | 3.20 | 2.15 | 1.52 | 1.23 | 1.28 |
| 23:00 | 374 | შემროკი-გალვეი | 1.95 | 3.10 | 3.55 | 1.19 | 1.25 | 1.65 |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 22:45 | 375 | სლიგო-დუბლინი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | საფრანგეთი. თასი | | | | | | |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 22:50 | 448 | ლიონი-ბორდო | 1.80 | 3.00 | 4.80 | 1.12 | 1.30 | 1.84 |
| | | ლიბერტადორესის თასი | | | | | | |
| | | 29 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 574 | კოლო კოლო-კარაკასი | 1.20 | 5.20 | 9.20 | 1.00 | 1.06 | 3.32 |
| | | კალათბურთი. იტალია | | | | | | |
| | | 29 მარტი | | | | | | |
| 22:30 | 656 | სიენა-კანტუ | 1.05 | 12.00 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 4.00 |
| 22:30 | 657 | ვ.ბოლონია-ბიპოპი | 1.05 | 12.00 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 4.00 |
| 22:30 | 658 | ნაპოლი-ლივორნო | 1.10 | 12.00 | 5.00 | 1.00 | 1.00 | 3.52 |
| 22:30 | 659 | ვარეზე-ბიელა | 1.30 | 12.00 | 2.90 | 1.17 | 1.00 | 2.33 |
| 22:30 | 660 | აველინო-სკაფატი | 1.40 | 12.00 | 2.50 | 1.25 | 1.00 | 2.06 |
| 22:30 | 661 | ორლანდო-რომა | 2.00 | 12.00 | 1.60 | 1.71 | 1.00 | 1.41 |
| 22:30 | 662 | მილანი-ტერამო | 1.05 | 12.00 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 4.00 |
| 22:30 | 663 | მონტეგრანარო-ბოლონია | 1.55 | 12.00 | 2.10 | 1.37 | 1.00 | 1.78 |




# ყურისჭამა ყურისჭამით

**ათენში** ცხოვრობს ერთი კაცი, დიმიტრის ციბიბაკისი, ტავერნის მეპატრონე, რომელსაც შაბათს, საბერძნეთისა და თურქეთის მატჩის დროს ორივე ყური მოაჭამეს.

რა რჯიდა საბრალო ციბიბაკისს, ჩხუბს რომ აშველებდა? არადა, ასე იყო: ტავერნაში ისხდნენ ბულგარელები, რომლებიც, რატომღაც თურქებს ქომაგობდნენ და ამას ხმამაღლა აკეთებდნენ. როდესაც სტუმრებმა მესამე გოლი გაიტანეს (აი, ის, მეკარე ნიკოპოლიდისმა კურიოზულად რომ გაუშვა), ბულგარელებმა კიჟინა მორთეს, რაც ერთმა ადგილობრივმა ველარ აიტანა და გაჩუმება მოსთხოვა.

ხოლო იმას, თუ რა მოხდა შემდეგ, ტავერნას პატრონი ასე იგონებს:

„მე გაშველება ვცადე, რაც საბოლოოდ ჩემი იატაკზე დაგდებით და ორივე ყურის მოკბეჩით დამთავრდა. ყურები ბულგარელებმა მომჭამეს და დალეჭეს კიდეც“.

ციბიბაკისი საავადმყოფოშია. სამწუხაროდ, მოჭმული და დალეჭილი ყურების ოდინდელ ადგილებზე სრულყოფილად მიკერება აღარ გამოვიდა და ახლა საბრალო ადამიანს პლასტიკური ოპერაცია სჭირდება.

„საბედნიეროდ, ყურები ბოლომდე მაინც ვერ მომჭამეს და ორივე მხარეს დასამუშავებელი ნარჩენები მაქვს“.

და რა ბედი ეწიათ ბულგარელებს? სამი დაიჭირეს, მეოთხე გაიქცა.

**პაპუნა ძედია**

# ყველა ბილეთი გაყიდულია

**რამდენიმე** საათი დასჭირდა „რომას“ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ მატჩის 50 ათასი ბილეთის გაყიდვას. ჩემპიონთა ლიგის პირველი შეხვედრა „სტადიო ოლიმპიკოზე“ 4 აპრილს გაიმართება. ამბობენ, რომ სტადიონის ზოგიერთი სალარო ოფიციალურ დროზე ორი საათით ადრე გაიღო, ორი საათის შემდეგ მისულებს კი ბილეთები აღარ შეხვდათ, რის გამოც უკმაყოფილონი დადიოდნენ ქალაქში და კლუბის დირექტორმა როსელა სენსიმ მათ ბოდიში მოუხადა.

# რიბერი: მეხვეწებიან!

**„მარსელის“** და საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველმა ფრანკ რიბერიმ თქვა, რომ თუ გუნდი წლეულს ჩემპიონთა ლიგის საგზურს ვერ მოიპოვებს, ამ ზაფხულს წავა.

„ზაფხულამდე ორი თვეა და ამჟამად ვცდილობ, „მარსელს“ ჩემპიონთა ლიგის საგზური მოვაპოვებინო, თუმცა არ დავმალავ, რომ ბევრმა ევროპულმა ბობოლა კლუბმა ძალიან სარფიანი კონტრაქტები შემომთავაზა და სეზონის ბოლოს სამეულში თუ ვერ მოვხვდით, შეიძლება, წავიდე“.

# დენილსონის ბოლო კორეაშია

**29 წლის** ბრაზილიელი დენილსონი საუდეთის „ალ ნასრიში“ თამაშობს, მაგრამ გამორიცხული არაა, სამხრეთკორეულ კლუბში მოხვდეს. „ალ ნასრისთან“ მას ერთწლიანი კონტრაქტი აქვს, თუმცა იქაურებს ფინტებით თავი ვერ მოაწონა და არაბებიც უკმაყოფილონი არიან.

შეგახსენებთ, რომ ცხრა წლის წინ „ბეტისმა“ მის სანაცვლოდ „სან პაულუს“ 37 მილიონი დოლარი გადაუხადა და, როგორც აღმოჩნდა, სულ ტყუილად, რადგან დენილსონმა „ბეტისშიც“ ვერ გაიბრწყინა.

# მოგცემ და მიეცი

**„შპორტ ბილდის“** ცნობით, „ლევერკუზენს“ „ბოხუმიდან“ თეოფანის გეკასის ყიდვა სურს. ბერძენი ფორვარდი ბუნდესლიგის მთავარმეგოლეა 13 გოლით. გეკასი „პანათინაიკოსს“ ეკუთვნის და „ბოხუმში“ განათხოვრებულია.

„ლევერკუზენი“ 2 მილიონი ევროს გადამხდელია იმ პირობით, თუ ბოხუმელები ამ ფულიდან 700 ათასს „პანათინაიკოსს“ მისცემენ ფეხბურთელის კონტრაქტის გამოსასყიდად.

# ალექსი ბაშთურქის ნაცვლად

**ბერლინის** „ჰერტა“ სტამბოლის „ფენერბაჰჩედან“ ბრაზილიელ ნახევარმცველ ალექსის გადაბირებას აპირებს. „კიკერის“ ინფორმაციით, ალექსი ილდირაი ბაშთურქის შემცვლელად უნდათ, რომელიც გუნდიდან მიდის.

ალექსმა „ფენერში“ 86 მატჩი ითამაშა და 54 გოლი გაიტანა. იგი 29 წლისაა და სტამბოლურ კლუბთან კონტრაქტი ივნისში ეწურება.

# ამერიკული დანა კარვალიუს

**მოსკოვის** ცსკა-ს ბრაზილიელ ლეგიონერ დანიელ კარვალიუს, შესაძლოა, მუხლზე მესამე ოპერაცია დასჭირდეს. უკვე რამდენიმე დღეა, იგი რუსეთის დედაქალაქშია და პირად ფიზიოთერაპევტს ელის ბრაზილიიდან. კარვალიუ ათდღიან კურსს გაივლის და ექიმი გაარკვევს, თუ როგორ იმოქმედებს მის მუხლზე დატვირთვა.

ამას წინათ ბრაზილიელს გერმანიაში მეორე ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ სასურველი შედეგი ვერ მიიღო. თუ დატვირთვას ვერ გაუძლებს, ამერიკელ ქირურგებთან გააგზავნიან.

# რობენი რობენს იყიდის

**„ჩელსის“** ჰოლანდიელი არიენ რობენი „ბარსელონას“ 6 მილიონი გირვანქა დაუჯდება. ლონდონელები 16-ს ითხოვენ, მაგრამ ფიფას ახალი წესის მიხედვით, რობენს საკუთარი ტრანსფერის გამოსყიდვა შეუძლია და ამ შემთხვევაში ფასი ექვსი მილიონი იქნება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ახალი ბალაკი არგენტინიდან

## პატარა პრინცი მიუნხენში დატვირთული ჩაფრინდება

**მას** მიუნხენის „ბაიერნში“ იოლი გასეირნება არ ელის. ჯერ კიდევ მიუნხენში არ ჩასულა და უკვე უზარმაზარი ტვირთი აჰკიდეს — „ალიანს არენაზე“ „ჩელსიში“ გადაბარგებული მიხაელ ბალაკი უნდა შეცვალოს. საუბარია 21 წლის ნიჭიერ არგენტინელ ნახევარმცველ ხოსე ერნესტო სოსაზე, რომელიც ბავარიულმა გიგანტმა სატრანსფერო ომში „ვალენსიას“ და მადრიდის „ატლეტიკოს“ წაჰგვარა.

თებერვლის ბოლოს „სოსიტამ“ გერმანიაში სამედიცინო შემოწმება წარმატებით გაიარა და „ბაიერნთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. თუმცა, შეთანხმების მიხედვით, არგენტინელი იქაური კლაუსურას დასრულებამდე მშობლიურ „ესტუდიანტესში“ უნდა დარჩეს.

სოსას ბავარიაში ბალაკის ადგილის დაკავება შეუძლია, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ორი ფეხბურთელი სათამაშო სტილით ერთმანეთისგან განსხვავდება. თუ გერმანელის მთავარი კოზირი ფიზიკური ძალა, თავით თამაში და მეტოქის საჯარიმოში ხშირი სტუმრობაა, „პატარა პრინცს“ (სოსას არგენტინაში ამ სახელითაც იცნობენ) უფრო ტექნიკური თამაში და მოკლე პასები ეხერხება.

ხოსე ერნესტო დიეგო სიმეონემ აღმოაჩინა — როცა „ელ ჩოლო“ „ესტუდიანტესის“ მწვრთნელი გახდა, ნიჭიერ ყმაწვილს ყურადღება მიაქცია, ძირითადში ადგილი მისცა და ფრთაშესხმულმა სოსამაც მთელ პატაგონიას დაუმტკიცა თავისი სიძლიერე.

„პატარა პრინცი“ „ესტუდიანტესში“ 15 წლისა მივიდა. სანამ არგენტინის ჩემპიონატში დებიუტი ექნებოდა, სოსა იტალიურ „ვიჩენცაში“ იყო გასინჯვაზე, თუმცა ეს სატრანსფერო გარიგება ჩაიშალა. იტალიელებმა სოსაში 400 ათასი დოლარი გაიმეტეს, რაც „ესტუდიანტესის“ მაშინდელ პრეზიდენტს ხულიო ალეგრეს ეცოტავა.

„სამომავლოდ ამ ბიჭში გაცილებით მეტს გადაგვიხდიან“ — ბრძანა პრეზიდენტმა და არც შემცდარა.

„ვიჩენცა“ თავისი დოლარებითურთ „სოსიტასთვის“ დიდი ხანია, წარსულს ჩაბარდა, „ბაიერნმა“ კი მართლაც გაცილებით მეტი გაიღო მის შესაძენად — მთელი 10 მილიონი ევრო.

„ალიანს არენაზე“ ახალ, სამხრეთამერიკელ „ბალაკს“ ელიან...



**ლადო ხომერიკი**





# ვინ აგდებდა ვან ბასტენს?!

## ფაბიო კაპელო: სად არიგო საკი და სად პოეზია...

**არიგო საკის** და ფაბიო კაპელოს საგაზეთო პაექრობა გრძელდება.

რამდენიმე დღის წინ მადრიდის „რეალის“ ყოფილი სპორტული დირექტორი არიგო საკი ესპანეთში გახლდათ და იქაურ „ასს“ უთხრა, მიუხედავად იმისა, რომ კაპელო დიდი მწვრთნელია, მის ფეხბურთს არ პოეზია აქვს, არც ჰარმონია და ამის გამოა, გულშემატკივრებს ფაბიო გულზე დიდად რომ არ ეხატებათო.

გარდა ამისა, „მილანის“ ექსმწვრთნელმა თავის თანამემამულეზე თქვა: „კაპელოს გუნდები მგლებივით მარტო მეტოქის შეცდომებს დარაჯობენ, რათა წამსვე ყელი გამოღადრონ. საერთო ჯამში, ვფიქრობ, რომ კაპელო მადრიდის „რეალისთვის“ იდეალური მწვრთნელი არ არის.“

გუშინ კი კაპელოს ჯერი დადგა და „რეალის“ ახლანდელმა თავკაცმა ოპოზიციონერს იტალიური „ლა გაძეტა დელლო სპორტის“ საშუალებით გასცა პასუხი...

„ის, ვინც „მილანიდან“ 26 წლის მარკო ვან ბასტენის გაგდებას აპირებდა, პოეზიის და ჰარმონიის არქონას მიკიჟინებს... სასაცილოა ეს ყველაფერი. ვან ბასტენთან და იმ სხვა ექვს ფეხბურთელთან ერთად, რომლებიც საკის გუნდიდან უნდა გაეყარა, ზედიზედ სამი სკუდეტო მოვიგე... თანაც, როცა საკიმ იტალია დატოვა, ელვის სისწრაფით მოუწია სახლში დაბრუნებამ — უცხოეთში თავის დამკვიდრება ვერ შეძლო“ — აღნიშნა ფაბიო კაპელომ.

**ლადო ხომერიკი**

# რიგში პირველი რამონი



AFP

## შუსტერი კარგია, ბენიტესი კარგია, მაურინიუ კარგია, კაპელოც კარგია

**როგორც** ინგლისელმა ჟურნალისტებმა გამოჩხრიკეს, მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტი რამონ კალდერონი „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავის, პორტუგალიელი კრიშტიანუ რონალდუს ყიდვაზე ხელის აღებას არ აპირებს. არადა, მოგეხსენებათ, რომ 22 წლის რონალდუ სწორედ ახლა აწარმოებს მოლაპარაკებებს მანჩესტერული კლუბის ხელმძღვანელებთან ხელშეკრულების 2012 წლამდე გაგრძელების თაობაზე.

და მაინც, ესპანეთის დედაქალაქში იმედოვნებენ, რომ პორტუგალიელის შეცდენა შესაძლებელია. კალდერონი:

„ჩვენ კრიშტიანუ ძალიან მოგვწონს. დიახ, ამჟამად ის „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელია, მაგრამ თუ ინგლისური კლუბი მის გაყიდვას მაინც გადაწყვეტს, მყიდველთა რიგში პირველები სწორედ ჩვენ ვიქნებით“.

„სარბიელის“ მკითხველისთვის ისიც ცნობილია, რომ მადრიდელები „მილანიდან“ კაკას გადაბირებასაც აპირებენ და ამ საქმისთვის დიდძალი თანხის გაღებას ფიქრობენ, მაგრამ სიტყვა დიდძალს სხვადასხვა ხალხისთვის, ეტყობა, მაინც სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს.

„შეუძლებელია, ფეხბურთელი 50 მილიონი ღირდეს. ასეთ ფულს რონალდუს საყიდლადაც კი არ გავიღებთ“ — დასძინა კალდერონმა.

ისე, კალდერონს მხოლოდ ფეხბურთელები რომ ჰყავდეს საყიდელი, რა უჭირდა, მაგრამ ვაი, რომ არა და არ მთავრდება საუბარი „რეალის“ ახალი მწვრთნელის შესახებაც. შესაბამისად, „სამეფო კლუბის“ პრეზიდენტი იძულებულია, ჟურნალისტებს ამ თემაზეც ესაუბროს...

„ბერნდ შუსტერი? რასაკვირველია, ის ძალიან მომწონს, მაგრამ ასევე მომწონს რაფა ბენიტესი და ჟოზე მაურინიუც — უთხრა კალდერონმა ტელეარხ „ანტენა 3“-ს — ამ მწვრთნელებისადმი დიდი პატივისცემით ვარ განმსჭვალული, თუმცა ამ თემაზე საუბარი დღეს „რეალის“ ამჟამინდელი თავკაცის ფაბიო კაპელოს უპატივცემულობა იქნებოდა. გასული სეზონის წინ ჩვენ მივიჩნიეთ, რომ „რეალისთვის“ ყველაზე შესაფერისი კანდიდატურა სწორედ კაპელო იყო, მას შემდეგ კი ვითარება შეიცვალა. რა იქნება მომავალში? შესაძლოა, იტალიელთან ახალი კონტრაქტი გავაფორმოთ, მაგრამ შესაძლოა, სხვა გადაწყვეტილებაც მივიღოთ“.

და მაინც, ესპანეთში გავრცელებული ხმების, თუ გნებავთ, ჭორების თანახმად, კალდერონს უკვე ყველაფერი გადაწყვეტილი აქვს.

ამბობენ, რომ „რეალის“ შეფი ბერნდ შუსტერთან არის გარიგებული.

**ბაჩუნა ძიდია**

# მეტისი თუ მექსიკელი?

## ატლეტიკომ სიმეონე გაიხსენა

**მადრიდის** „ატლეტიკოს“ ხელმძღვანელობას სურს, ხავიერ აგირესთან კონტრაქტის გახანგრძლივების თაობაზე მოლაპარაკება წამოიწყოს.

კლუბი დარწმუნებულია, რომ მექსიკელ მწვრთნელს სამომავლოდ „ვისენტე კალდერონზე“ დარჩენა უნდა, თუმცა, თუ აგირემ „ათლეტებთან“ თანამშრომლობა იუარა, მადრიდელები მას შემცვლელს უმალ გამოუძებნიან.



AFP

როგორც არგენტინული სააგენტო DERF გვამცნობს, „ათლეტთა“ მწვრთნელობის ნომერ პირველი ფავორიტი ძველი მადრიდელი, დიეგო სიმეონე ყოფილა. სიმეონე „ატლეტიკოს“ ფანებს ძალიან უყვართ, თან „ელ ჩოლომ“ („მეტისი“) „ესტუდიანტესის“ სათავეში არგენტინის ჩემპიონობა მოიგო, რაც, ხადია, „ატლეტიკოს“ შეფებს უყურადღებოდ დარჩენიათ.

სიმეონე „ატლეტიკოდან“ 2004 წლის დეკემბერში წავიდა. მაშინ „ელ ჩოლო“ ამბობდა, სამშობლოში დავბრუნდები და ფეხბურთელის კარიერის ბოლო წლებს არგენტინაში გავატარებო — თავისი ბავშვობის გუნდი „რასინგი“ აირჩია და რამდენიმე თვეში დაასრულა კიდეც კარიერა.

ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდების შემდეგ სიმეონე „აკადემიას“ მწვრთნელი გახდა, ხოლო მერე „ესტუდიანტესს“ მიაშურა, გუნდს, რომელსაც ბოლო აპერტურა მოაგებინა.

თავის დროზე, როცა „ელ ჩოლო“ მადრიდს ტოვებდა, ჟურნალისტებთან „ატლეტიკოში“ მალე დაბრუნების სურვილი არც დაუმალავს...

„კარგი იქნება, თუ მალე ისევ მოვალ აქ, ოღონდ ამჯერად მწვრთნელის რანგში“ — უთხრა დიეგომ ესპანურ მედიას.

დიეგოს ფოლადივით ხასიათი აქვს, პრინციპული კაცია და თუ მწვრთნელად დანიშნეს, მაღალტექტიკურ, მაგრამ მერყევ „ათლეტებს“ საბრძოლო სულს შთაუნერგავს.

ახლა მთავარი პრობლემა ესპანური კანონია. რეგლამენტის მიხედვით, უცხოელმა სპეციალისტმა თავის ქვეყანაში, სულ მცირე, სამი წელი უნდა იმუშაოს მწვრთნელად და მხოლოდ ამის შემდეგ ექნება რომელიმე ესპანური კლუბის თავკაცობის უფლება. სიმეონე კი არგენტინაში მხოლოდ წელიწადნახევარია, მწვრთნელობს.

სიმეონეს „ესტუდიანტესთან“ კონტრაქტი ივნისში უმთავრდება, თუმცა ლა პლატას კლუბის უფროსობას უნდა, რომ მან „სტუდენტებს“ კოპა სუდამერიკანაზეც უხელმძღვანელოს და გაისად ლიბერტადორესის თასისთვის ბრძოლაშიც წარუძღვეს.

წინა კვირას „ესტუდიანტესის“ პრეზიდენტმა ედუარდო აბადიემ და სიმეონემ კონტრაქტის განახლების შესახებ პირველად ისაუბრეს.

„აბადიემ იცის, რამხელაა კლუბში ჩემი დარჩენის შანსი. ევროპული გუნდები, „პარმა“ და „ატლეტიკო“ მეპატიჟებიან, თუმცა მათთვის გადაჭრით არც ჰო მითქვამს და არც არა. მართალია, „ატლეტიკო“ განსაკუთრებით მიყვარს, მაგრამ დღეს „ესტუდიანტესია“ ჩემი მთავარი საზრუნავი“ — ამბობს არგენტინელი.

**ლადო ხომერიკი**

# ჯოვანი დასაწყისს უბრუნდება

**ჯოვანი ვან ბრონკჰორსტს** „ბარსელონასთან“ კონტრაქტი 2008 წლის ივნისამდე აქვს, მაგრამ გამორიცხული არაა, მანამდე დაშორდეს კატალონიელებს: „ნებისმიერმა ფეხბურთელმა იცის, რომ კონტრაქტი გაწყვეტა შეუძლებელი არაა. მაგალითად, „არსენალიდან“ „ბარსელონაში“ გადასვლისას „მეთოფეებთან“ კიდევ სამწლიანი ხელშეკრულება მაკავშირდება. ასე რომ, შესაძლოა, ამ ზაფხულს „ფეიენოორდში“, აღმოვჩნდე, იქ, სადაც ჩემი კარიერა დაიწყო“.

# ნევილს კოჭი გაუგრძელდა

**„მანჩესტერ იუნაიტედის“** კაპიტანი გარი ნევილი კოჭის ტრავმის გამო, შეიძლება, თვენახევრით გამოაკლდეს გუნდს. ტრავმა კი მან 17 მარტს „ბოლტონთან“ შეხვედრაში მიიღო.

თავიდან ისე ჩანდა, რომ ნევილი სამ კვირაში უნდა დაბრუნებულიყო მოედანზე, მაგრამ ხელმეორე გამოკვლევამ კაპიტნის დაბრუნება დაამუხრუჭა. მას დაახლოებით 11 მატჩის გამოტოვება მოუწევს. მათ შორის „უოტფორდთან“ ასოციაციის თასის ნახევარფინალის და „რომასთან“ ჩემპიონთა ლიგის ორივე მეოთხედფინალის.

**ვაჟა ხუციშვილი**

„ბარსელონა“ წლეულს ის ალარ არის, რაც შარშან იყო. გუნდი ჩემპიონთა ლიგას გამოეთიშა და ლივერპულური ფიასკოს შემდეგ ბრძოლას ოდენ შინაურ ტურნირებზე, ლა ლიგაზე და კოპა დელ რეიზე აგრძელებს. „ბარსას“ უახლოეს გეგმებზე ჟურნალისტებთან კლუბის პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ ისაუბრა...



AFP

# ხუან ლაპორტა: დამიჯერეთ, კატასტროფას ვერ ვხედავ

— თქვენი გუნდის მიზანი წლეულს რა არის?

— პრიმერადივიზიონის და კოპა დელ რეის მოგება. ამ ორ ტურნირზე გამარჯვება წარმატება იქნება.

— ბოლო წლებში კლუბის ხელმძღვანელობა განუწყვეტლივ იმეორებდა, რომ წარმატებული კურსი უნდა გაგრძელდეს. ამ იდეის განხორციელება ასე რატომ გაძნელდა?

— ყველას გამარჯვება უნდა, მაგრამ მოგებით მარტო ერთი იგებს. სწორედ ამიტომაა, გუნდები ერთმანეთს გააფთრებით რომ ეჭიდავებიან და თითოეულ ქულას დიდი მნიშვნელობა აქვს. ყოველ შემთხვევაში, იმ კურსისთვის არ გვიღალატია, მიჯრით ორი, ლა ლიგა და ჩემპიონთა ლიგა რომ მოგვაგებინა. ძლიერი კონკურენციის მიუხედავად, პრიმერადივიზიონში და კოპა დელ რეიზე „ბარსა“ მაინც ფავორიტად რჩება.

— თქვენი პრეზიდენტობისას „ბარსელონამ“ რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი ჯილდო მოიპოვა. ფეხბურთელები ახლა ტიტულების მოგებაზე მეტად დასვენებაზე ხომ არ ფიქრობენ?

— როცა რაღაცას იგებ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მომავალზე აღარ უნდა იფიქრო. „ბარსა“ ყოველთვის „ბარსად“ დარჩება და ინჩასებიც მუდამ მოგებას მოგვთხოვენ. თუმცა, დარწმუნებული ვარ, გულშემატკივარი მტრად არ გაგვიხდება და ზედმეტს არ მოითხოვს. „ბარსელონა“ და მისი ინჩადა ერთიანი ორგანიზმია, ფანები მოგების და წაგების მიუხედავად კლუბის ერთგულნი რჩებიან.

— სეზონის დასაწყისში თამამად აცხადებდით, ყველა ჯილდოს მოვიგებთო. თუმცა „ბარსა“ ჩემპიონთა ლიგას უკვე გამოეთიშა...

— როცა სეზონი იწყება, ყველანი ამბიციურები ვართ. გამონაკლისი არც „ბარსელონაა“ და ყველა ტიტულის მოპოვებას ვგეგმავდით — რა თქმა უნდა, ამით მეტოქეთა დამცირება არ გვინდოდა. ჩვენ ვთქვით: „ვეცდებით, ყველა ტურნირი მოვიგოთ, სადაც მონაწილეობა მოგვიწევს.“ ეს ნორმალური მოვლენაა და არც ის მეჩვენება კატასტროფად, თუ შვიდი ჯილდოს მოგებას დავგეგმავ და ორს მოვიგებ. ხსენებული ორი თუ ყველაზე მნიშვნელოვანია, სეზონის ამოცანა ამოხსნილად უნდა ჩაითვალოს.

— ფანებზე რას იტყვით?

— ინჩასებს მუდამ გამარჯვება უნდათ, ისევე, როგორც კლუბს.

— და თუ დასახული მიზნები ვერ შეასრულეთ...

— ამ შემთხვევაში ჩვენი სადაზღვევო პოლისი სპორტული სულისკვეთება იქნება. ერთი, თუნდაც მნიშვნელოვანი მატჩის წაგება ქვეყნის დასასრულს არ ნიშნავს. შეცდომებიდან შესაბამის გაკვეთილს მივიღებთ და ვეცდებით, მომავალში მსგავსი რამ აღარ განმეორდეს.

# რონალდინიოს ძმა: დიახაც, მილანი!

**მითქმა-მოთქმას** რონალდინიოს „მილანში“ გადასვლის შესახებ, ბოლო არ უჩანს. ამჯერად ამ საკითხზე ისევ ბრაზილიელის ძმამ და აგენტმა რობერტო დე ასისმა ილაპარაკა.

„მომავალ კვირაში მილანში ჩავფრინდები და კლუბის ხელმძღვანელობას რიკარდო ოლივეირას თაობაზე დაველაპარაკები. ვისაუბრებთ ჩემს ძმაზეც. იგი „ბარსელონაში“ ბედნიერია, მაგრამ გამორიცხული არაფერია და ვნახოთ, რა მოხდება. ის, რაც „როსონერის“ პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ და ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ განაცხადეს, მართალია — თუ რონალდინიო კლუბის გამოცვლას გადაწყვეტს, „მილანი“ მის სიაში პირველი იქნება. ამაზე „შავ-წითლების“ უფროსობასაც ველაპარაკეთ და დირექტორ ლეონარდოსაც. თან წარმოიდგინეთ, რა სიამოვნებას მიიღებენ კაკა და რონალდინიო ერთად თამაშისგან“ — განაცხადა დე ასისმა.

ამბობენ, რონალდინიოს ხელში ჩაგდებაზე პრეტენზია „მილანის“ თანაქალაქელ „ინტერსაც“ აქვსო. თუმცა ბრაზილიელის ძმამ ეს სავსებით გამორიცხა...

„რონალდინიოზე ბევრი კლუბის წარმომადგენელს ვესაუბრე, მათ შორის, „ინტერის“ ტრანსფერების კონსულტანტ მარკო ბრანკასაც. თუმცა მოდით, „ინტერზე“ ნუ ვილაპარაკებთ. თუ რონი გუნდს შეიცვლის, სიაში პირველი „მილანია“, მიზეზები უკვე გითხარით. როდის გადაწყდება რონალდინიოს მომავალი? არ ვიცი, შეიძლება ერთ, ორ ან ოთხ კვირაში, ანაც უფრო დიდი ხნის მერე“ — დასძინა ასისმა.

**გიორგი ძაძაბაძე**



AFP

# კატალონიაში მყეფავი პიტბული ენატრებათ

**როდესაც** კატალონიაში ედგარ დავიდსი გადავიდა, „ბარსელონამ“ საოცარი რონალდინიო აღმოჩინა. მოედნის ცენტრში დავიდსის ტიტანურმა შრომამ გაათავისუფლა რონალდინიო, რომელმაც ჰოლანდიელის მისვლის შემდეგ გალაქტიკურ დონეზე გაიბრწყინა.

დღეს „ბარსას“ ხელმძღვანელობა ახალ დავიდსს ეძებს, კაცს, რომელიც თავად ჩრდილში დარჩება და თანაგუნდელ მოიერიშეებს საქმეს გაუადვილებს.

2004 წლის დეკემბერი „ბარსასთვის“ და ფრანკ რაიკარდისთვის ძალიან რთული გამოდგა. გუნდი თავის თამაშს ვერ პოულობდა და შედეგებიც ცუდი ჰქონდა. მაშინ იყო, იანვრის სატრანსფერო ბაზარზე კატალონიელებმა (რაიკარდის მოთხოვნით) ედგარ დავიდსი რომ იყიდეს.

ჰოლანდიელი ყოვლისშემძლე, ნაკლებად მბრწყინავი, მაგრამ არნახული ძალის მქონე კაცი გახლდათ. მისმა მისვლამ „ბარსა“ გამოაცოცხლა და კატალონიურმა გრანდმაც პრიმერას მეორე წრე საოცრად ჩაატარა. ის ჩემპიონატი „ვალენსიამ“ მოიგო, მეორე ადგილზე კი რაიკარდის შეგირდები გავიდნენ.

„კამპ ნოუზე“ „პიტბულის“ გაძაბარგებამ ის ჭეშმარიტება დაადასტურა, რომ ვარსკვლავებითა და თავისუფალი არტისტებით დახუნძლულ გუნდს ერთი გლადიატორი აუცილებლად სჭირდება. ედგარის საქმე მომდევნო ორ სეზონში რაფაელ მარკესმა და ედმილსონმა გააგრძელეს, რომელთაც ხანდახან ტრავმებისგან გატანჯული ტიაგო მოტაც ეხმარებოდათ.



AFP

ფრანკ რაიკარდი
მუშა პიტბულს ეძებს

ამ სეზონში გუნდს პრობლემები შეექმნა და უფროსობამ გადაწყვიტა, მომავლისთვის საჭირო გლადიატორი შეიძინოს. ეს ახალი დავიდსი უნდა იყოს, ტაქტიკურად მოაზროვნე ფეხბურთელი, რომელსაც პოზიციის დაცვა ეცოდინება, ფიზიკურად ძლიერი იქნება და შემტევების გაბრწყინებას შეუწყობს ხელს.

გლადიატორის ძებნაში ბარსელონელები „ვალენსიას“ კაპიტანსა და ბურთაობის სტილით თითქმის დავიდსის ანალოგიურ ფეხბურთელ დავიდ ალბელდას მიადგნენ. ალბელდა ნამდვილი ლიდერია, ქარიზმატულია და უკან არასოდეს იხევს. თან „ბარსელონაში“ მის გადასვლას ისიც გააადვილებს, რომ „ვალენსიას“ უფროსობასთან დაძაბულ ურთიერთობაშია.

„კამპ ნოუზე“ არც სარაგოსელი ალბერტ საპატერი ავიწყდებათ. საპატერი ვიქტორ ფერნანდესის კლუბის მთავარი მამოძრავებელი ძალაა. სტილი დავიდსისეული აქვს, მოედანზე ნაკლებად შეიმჩნევა და კოლოსალურ სამუშაოს ასრულებს.

საუბარია „ბარსაში“ ლივერპულელი სისოკოს და „ოლიმპიაკოსის“ იაია ტურეს ჩარიცხვაზეც.

ვნახოთ...

**ლადო ხომერიკი**

## ფოლიამანძილომ დუდუ გაამხილა

**ბრაზილიის** ნაკრებისა და მოსკოვის ცსკა-ს ნახევარმცველ დუდუს სერია A-ში გადასვლა უნდა — წერს „ტუტო მერკატო“, რომელსაც ეს ამბავი ფეხბურთელის აგენტმა მარიო ფოლიამანძილომ უთხრა.

23 წლის ბრაზილიელს კონტრაქტი ცსკა-სთან 2009-ში ეწურება და მოსკოველები ვადაზე ადრე მის გაშვებას არ აპირებენ, თუმც თვითონ ფეხბურთელი იტალიისკენ იწევს. დუდუთი უკვე დაინტერესდნენ „ინტერი“ და „ფიორენტინა“.

## არსენალი შატორუს ძარცვავს

**„არსენალი“** იმედოვნებს, რომ ამ ზაფხულს ფრანგული „შატორუდან“ მეორე თავდამსხმელსაც იყიდის. „მეთოფეებმა“ ერთი კვირის წინ უკვე გადაიბირეს „შატორუს“ 16 წლის მეგოლე ჟილ სუნუ, ახლა მიზანში 18 წლის ფორვარდი ბაკარი საკო ამოიღეს, რომლის შეძენა იტალიურ „ფიორენტინასაც“ უნდა.

## ძვირფასი ჩხუბი

**„არსენალი“** და „ჩელსი“ 100-100 ათასი გირვანქით დააჯარიმეს ლიგის თასის ფინალში ჩხუბის გამო. იმ მატჩში, რომელიც თებერვალში კარდიფში გაიმართა, კოლო ტურე, ემანუელ ადებაიორი და ჯონ ობი მიკელი გააძევეს. „არსენალი“ პირველი გუნდია ინგლისის ფეხბურთის ისტორიაში, რომელსაც სათასო ფინალში ორი მოთამაშე გაუგდეს.

გარდა ამისა, ადებაიორს 7 ათასს 500 გირვანქის გადახდა დააკისრეს, რადგან წითელი ბარათის ჩვენების შემდეგ მოედნიდან გასვლას უარობდა.

## პორტუელი ინტერისთვის

**„ინტერი“** ამ ზაფხულს „პორტუს“ ფეხბურთელების — პეპეს და კვარესმას შეძენას აპირებს და ორივეს სანაცვლოდ 20 მილიონი ევრო გაუმზადებია. მართალია, მათ „პორტუსთან“ ხელშეკრულება აკავშირებთ, მაგრამ საკუთარი კონტრაქტების გამოსყიდვა შეუძლიათ.

პეპე (სრული სახელია კლეპერ ლავერან ლიმა ფერეირა) დაახლოებით 7 მილიონი ღირს, ხოლო კვარესმა, რომელიც „ინტერს“ ფიგუს შემცვლელად უნდა, 13 მილიონი.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნუ ეხებით იმპერატორს!



AFP

**ბრაზილიელ** ფორვარდ ადრიანოს აგენტმა ჟილმარ რინალდიმ თქვა, რომ მისი კლიენტი მომავალ სეზონშიც „ინტერში“ ითამაშებს.

ბოლო დროს გახშირდა ხმები „იმპერატორის“ „ნეროაძურიდან“ შესაძლო წასვლის თაობაზე. მას „ფიორენტინას“, „იუვენტუსს“, „რეალს“, „ბარსელონას“ და სხვა კლუბებსაც უკავშირებდნენ.

„ადრიანოს „ფიორენტინაში“ გადასვლა გამორიცხულია. იგი „ინტერის“ ფეხბურთელია. მილანში ორი კვირის წინ ვიყავი და „ნეროაძურის“ ხელმძღვანელობასაც ველაპარაკე. ისინი კვლავ დიდ იმედებს ამყარებენ ადრიანოზე, არც მისი გაყიდვა სურთ და არც განათხოვრება“ — თქვა რინალდიმ.

„იმპერატორი“ მიმდინარე სეზონს მართლაც არადამაჯერებლად ატარებს. ხოლო მას მერე, რაც ამას წინათ იგი მორიგ შარში გაეხვა და ერთ-ერთ ღამის კლუბში „ვარეზეს“ ამერიკელ კალათბურთელს ეჩხუბა, იტალიური პრესა ალაპარაკდა, „ინტერმა“ საბოლოოდ გადაწყვიტა მისი გაყიდვაო.

ჟილმარ რინალდი: „პრობლემა ის არის, რომ იტალიაში ხალხი ძალიან ბევრს ლაპარაკობს. ისეთი ჩემპიონის მომავალი, როგორიც ადრიანოა, არ შეიძლება დისკოთეკაზე მომხდარი ერთი პატარა ინციდენტის გამო ეჭვქვეშ დადგეს“.

**ქოქი ქანდელაკი**

# გამიშვით, გამიშვით!
## რა ხდება ლივორნოში?



**იტალიური** „ლივორნოს“ ექსცენტრულმა პრეზიდენტმა ალდო სპინელიმ პოსტის დატოვება გადაწყვიტა. მას ხშირად მოსდიოდა კონფლიქტი მწვრთნელებთან, ფეხბურთელებთან და ფანებთან.

„წინსვლისთვის ამ გუნდს ენთუზიაზმი სჭირდება. ამჟამად მოლაპარაკება არავისთან არ მიმდინარეობს, მაგრამ იმედია, ქალაქის მერი და ადგილობრივი ბიზნესმენები დამეხმარებიან ჩემი შემცვლელის მალე პოვნაში“ — აღნიშნა სპინელიმ.

გასულ სეზონში „ლივორნო“ ბრწყინვალედ გამოიყურებოდა რობერტო დონადონის ხელში, მაგრამ სპინელიმ იგი მოხსნა და მოგვიანებით თავადაც აღიარა, შევცდიო.

რამდენიმე თვის წინ მან დანიელე არიგონიც მოხსნა, თუმცა ფეხბურთელები „ლივორნოს“ სიმბოლოს კრისტიანო ლუკარელის თაოსნობით და ქომაგების ნაწილი აჯანყდნენ. შედეგად, სპინელის არიგონის დაბრუნება მოუხდა, მაგრამ ახლახან იგი ისევ მოხსნა. ამან კვლავ გამოიწვია ლუკარელის და სხვათა უკმაყოფილება. მათ შორის სიტყვიერი შელაპარაკებაც მოხდა, რის მერეც ვეტერანმა ფორვარდმა თქვა, კლუბიდან მივდივარო, მაგრამ ახლა მას პრეზიდენტი ასწრებს.

სპინელი დიდი ხანია, ფეხბურთშია — 1985 წლიდან 13 წელი იგი საკმაოდ წარმატებულად პრეზიდენტობდა „ჯენოას“. „ლივორნოში“ 1999 წლის მარტში მივიდა, როცა კლუბი სერია C1-ში იყო და 1948-49 წლების სეზონის მერე პირველად აიყვანა სერია A-ში.

**ქოქი ქანდელაკი**

# იუვემ კანუტეს დაუმიზნა

**იტალიური** მედია აცხადებს, რომ „იუვენტუსი“ მზადაა, „სევილიას“ ფორვარდ ფრედი კანუტეში 18 მილიონი ევრო გადაიხადოს.

მოგეხსენებათ, „იუვე“ საამსეზონოდ კალჩოპოლის სკანდალის გამო სერია B-ში დააქვეითეს, თუმცა ტურინელები წლეულს უმაღლეს ლიგაში დაბრუნებას აპირებენ და მეგოლე კანუტის შეძენაც მათი ერთ-ერთი უპირველესი მიზანია.

რაზან ხავიერ სავიოლას „დელე ალპზე“ გადასვლის ვარიანტი ჩაიშალა, ტურინელთა მწვრთნელმა დიდიე დეშანმა გადაწყვიტა, გუნდი მაღელი ფორვარდით გააძლიეროს. მართალია, „იუვესთვის“ უფრო პრიორიტეტული ლუკა ტონის ტრანსფერია, მაგრამ, „ლა გაძეტა დელო სპორტის“ ცნობით, ტონისთან მოლაპარაკების ჩაშლის შემთხვევაში დეშანი ყველაზე მეტად კანუტის ყიდვას შეეცდება.

„იუვენტუსს“ 104 მილიონი ევრო აქვს გამზადებული სამომავლო ტრანსფერებისთვის. დავიდ ტრეზეგეს კი ალბათ რომელიმე სატრანსფერო ოპერაციაში ჩართავენ — ფრანგ თავდამსხმელს კონტრაქტი 2008-ში უმთავრდება, ხელშეკრულების განახლებას აღარ აპირებს და „იუვეც“ მას იქამდე გაასხვისებს, ვიდრე ტრეზეგე თავისუფალი აგენტი გახდება.

კანუტი კი მარტო ტურინელებს არ უნდათ. მასზე სხვა ევროპული გრანდებიც ნადირობენ, თუმცა, ესპანური გაზეთების ცნობით, ფრედის ყველაზე მეტად „სევილიაში“ დარჩენა სურს...

**ლადო ხომერიკი**





AFP

დიდიე დეშანი ფრედერიკ კანუტით დაინტერესდა




AFP

# მათამაშეთ!

**განახლებული** „უემბლის“ გახსნის მატჩში ჰეთ თრიქის ავტორი, „ფიორენტინას“ ახალგაზრდა ვარსკვლავი ჯამპაოლო პაცინი სათამაშო დროს ითხოვს — მას ფლორენციელთა გუნდში უმეტესად სათადარიგოთა სკამზე უწევს ჯდომა, რადგან ლუკა ტონი იქ ხელშეუხებელია.

„ფლორენციაში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. ხელმძღვანელობას, თანაგუნდელებსა და ფანებს ვუყვარვარ. შარშან ზაფხულს რამდენიმე წინადადება მივიღე, მაგრამ „ფიორენტინას“ ჩემი გაშვება არ სურდა და მეც სიამოვნებით დავრჩი. თუმცა ჩემი ასაკის ფეხბურთელისთვის რეგულარულად თამაში ძალიან მნიშვნელოვანია. გულახდილად გეტყვით, რომ სულ სათადარიგოთა სკამზე ყოფნა არ მომწონს“ — თქვა პაცინიმ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ატალანტას“ ექსთავდამსხმელმა განახლებული „უემბლის“ გახსნაზე გაიბრწყინა და ისტორიაშიც შევიდა. იტალიისა და ინგლისის ახალგაზრდული გუნდების შეხვედრაში მან ანგარიში 29-ე წამზე გახსნა, რასაც მოგვიანებით ორი გოლიც დაუმატა.

საბოლოოდ ის მატჩი ფრედ, 3:3 დასრულდა.

„ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ჩემი პირველი გოლი გავიტანე. ის მატჩი მართლაც არასდროს დამავიწყდება. ძალიან ბედნიერი ვარ და ახლაც ვერ ვიჯერებ. ფეხბურთელთა კარიერაში განსაკუთრებული მომენტები არის ხოლმე და ეს ჰეთ თრიქი დიდ სტიმულს მაძლევს. მინდა, ასე გავაგრძელო, თავი გამოვიჩინო „ფიორენტინას“ რიგებში და „აძურინისთან“ ერთად მომავალ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე“ — დასძინა პაცინიმ.

ამასობაში „ფიორენტინამ“ კიდევ ერთხელ უარყო ხმები პაცინის კონკურენტ ტონის გუნდიდან შესაძლო წასვლის თაობაზე. შეგახსენებთ, რომ „გაძეტა დელო სპორტის“ ცნობით, ვეტერანმა ფორვარდმა უკვე გადაწყვიტა წასვლა, ეს თანაგუნდელებსაც აცნობა და ფლორენციაში სახლის გაყიდვასაც აპირებს.

„კლუბს ლუკა ტონისთან კონტრაქტი 2009 წლამდე აქვს და კატეგორიულად უარვყოფთ პრესაში დაბეჭდილ ჭორებს. ამიერიდან სეზონის ბოლომდე გავრცელებული ნებისმიერი ამ სახის ცნობა შეგიძლიათ, უსაფუძვლოდ ჩათვალოთ“ — ნათქვამია „იების“ ოფიციალურ განცხადებაში.

**გიორგი ქაქაბაძე**

## ამხანაგური მატჩი

**ბრაზილია 1:0 განა**

1:0 ვაგნერ ლავი (18)
ბრაზილია: ჟულიო სეზარი, ილსინიო (დანი ალვეში 65; დუდუ 80), ლუსიო, ჟუანი, კლებერი, ჟილბერტო სილვა (ჟოსუე 46), მინეირო, კაკა (ელანო 68), რონალდინიო, რობინიო (დიეგო 76), ვაგნერ ლავი (რიკარდო ოლივეირა 73)
მწვრთნელი: კარლოს დუნგა
განა: რ. კინგსტონი, პანცილი, შარპეი (ბენსონი 89), დიკო, მენსა, ადო (ბოატენგი 72), ლ. კინგსტონი (კუმარჯი 72), ანანი (არტური 89), მუნტარი, გიანი (ტაჩე-მენსა 9; პელეგბე 85), დრამანი
მწვრთნელი: კლოდ ლერუა
გაფრთხილება: მინეირო, დრამანი, დრამანი, რ. კინგსტონი
გაძევება: დრამანი (77)
მსაჯი: პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)
27 000 მაყურებელი

Copa Toyota Libertadores '2007

## ლიბერტადორესის თასი 2007

**II ჯგუფი. IV ტური**

**აუდაქს იტალიანო (ჩილე) 1:0 ალიანსა (პერუ)**

1:0 რ. მოია (29)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნეკაქსა | 3 | 3 | 0 | 0 | 6:2 | 9 |
| აუდაქს იტალიანო | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| სან პაულუ | 3 | 1 | 1 | 1 | 5:2 | 4 |
| ალიანსა | 4 | 0 | 0 | 4 | 2:10 | 0 |

**III ჯგუფი. IV ტური**

**გრემიო (ბრაზილია) 1:0 დეპორტეს ტოლიმა (კოლუმბია)**

1:0 ტუტა (22)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრემიო | 4 | 2 | 1 | 1 | 2:1 | 7 |
| დეპორტეს ტოლიმა | 4 | 2 | 1 | 1 | 2:1 | 7 |
| სერო პორტენო | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| კუკუტა დეპორტივო | 4 | 0 | 3 | 1 | 2:3 | 3 |

ბიბლიოთეკა

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი

## A ჯგუფი

**აზერბაიჯანი 1:0 ფინეთი**

1:0 იმამალიევი (83)

**პოლონეთი 1:0 სომხეთი**

1:0 ჟურავსკი (26)

**სერბეთი 1:1 პორტუგალია**

0:1 ტიაგუ (5), 1:1 იანკოვიჩი (37)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 7 | 5 | 1 | 1 | 12:5 | 16 |
| ფინეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 7:3 | 11 |
| სერბეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 8:4 | 11 |
| პორტუგალია | 6 | 3 | 2 | 1 | 13:4 | 11 |
| ბელგია | 6 | 2 | 1 | 3 | 4:8 | 7 |
| ყაზახეთი | 6 | 1 | 2 | 3 | 3:8 | 5 |
| აზერბაიჯანი | 6 | 1 | 1 | 4 | 2:13 | 4 |
| სომხეთი | 5 | 0 | 1 | 4 | 0:6 | 1 |

## C ჯგუფი

**უნგრეთი 2:0 მოლდოვა**

1:0 ეპურიანუ (9ს.კ.), 2:0 გერა (63)

**მალტა 0:1 საბერძნეთი**

0:1 ბასინასი (65)

**თურქეთი 2:2 ნორვეგია**

0:1 ბრენე (31), 0:2 ანდრესენი (41), 1:2, 2:2 ჰალილ ალტინტოპი (72, 89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 14:3 | 13 |
| საბერძნეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 8:4 | 12 |
| ნორვეგია | 5 | 2 | 1 | 2 | 9:5 | 7 |
| ბოსნია | 5 | 2 | 1 | 2 | 10:12 | 7 |
| უნგრეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 7:8 | 6 |
| მალტა | 5 | 1 | 1 | 3 | 5:10 | 4 |
| მოლდოვა | 6 | 0 | 2 | 4 | 3:13 | 2 |

## D ჯგუფი

**ჩეხეთი 1:0 კვიპროსი**

1:0 კოლერი (21)

**ირლანდია 1:0 სლოვაკეთი**

1:0 კ. დოილი (13)

**უელსი 3:0 სან მარინო**

1:0 გიგზი (3), 2:0 ბელი (20), 3:0 კუმასი (62პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 5 | 4 | 1 | 0 | 21:3 | 13 |
| ჩეხეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 15:4 | 13 |
| ირლანდია | 6 | 3 | 1 | 2 | 11:7 | 10 |
| სლოვაკეთი | 6 | 3 | 0 | 3 | 15:11 | 9 |
| უელსი | 5 | 2 | 0 | 3 | 8:9 | 6 |
| კვიპროსი | 6 | 1 | 1 | 4 | 9:16 | 4 |
| სან მარინო | 4 | 0 | 0 | 4 | 0:29 | 0 |

## E ჯგუფი

**ისრაელი 4:0 ესტონეთი**

1:0 ტილი (20), 2:0 კოლაუტი (31), 3:0, 4:0 საპარი (77, 80)

**ანდორა 0:3 ინგლისი**

0:1, 0:2 ჯერარდი (54, 76), 0:3 ნაჯენტი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 5 | 4 | 1 | 0 | 15:4 | 13 |
| ინგლისი | 6 | 3 | 2 | 1 | 9:2 | 11 |
| ისრაელი | 6 | 3 | 2 | 1 | 13:6 | 11 |
| რუსეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 7:1 | 11 |
| მაკედონია | 6 | 2 | 1 | 3 | 5:5 | 7 |
| ესტონეთი | 5 | 0 | 0 | 5 | 0:10 | 0 |
| ანდორა | 5 | 0 | 0 | 5 | 1:22 | 0 |

## F ჯგუფი

**ლიხტენშტაინი 1:0 ლატვია**

1:0 დ. ფრიკი (17)

**ჩრდ. ირლანდია 2:1 შვედეთი**

0:1 ელმანდერი (26), 1:1, 2:1 ჰილი (31, 58)

**ესპანეთი 1:0 ისლანდია**

1:0 ინიესტა (81)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 9:4 | 12 |
| ჩრდ. ირლანდია | 5 | 3 | 1 | 1 | 9:7 | 10 |
| ესპანეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 9:6 | 9 |
| დანია | 4 | 2 | 1 | 1 | 7:2 | 7 |
| ლატვია | 3 | 1 | 0 | 2 | 4:2 | 3 |
| ისლანდია | 5 | 1 | 0 | 4 | 4:9 | 3 |
| ლიხტენშტაინი | 5 | 1 | 0 | 4 | 3:15 | 3 |

## G ჯგუფი

**ბულგარეთი 0:0 ალბანეთი**

**რუმინეთი 3:0 ლუქსემბურგი**

1:0 მუტუ (25), 2:0 კონტრა (50), 3:0 მარიკა (89)

**სლოვენია 0:1 ჰოლანდია**

0:1 ვან ბრონკჰორსტი (85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 6 | 4 | 2 | 0 | 8:2 | 14 |
| რუმინეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 10:3 | 11 |
| ბულგარეთი | 5 | 2 | 3 | 0 | 7:3 | 9 |
| ბელარუსი | 5 | 2 | 1 | 2 | 9:11 | 7 |
| სლოვენია | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | 4 |
| ალბანეთი | 5 | 0 | 3 | 2 | 3:6 | 3 |
| ლუქსემბურგი | 5 | 0 | 0 | 5 | 1:9 | 0 |



პოლონეთი — სომხეთი. პჟემისლავ კაზმერჩაკის პოლონეთი ჩვენს მეზობლებსაც გადაახტა და A ჯგუფსაც თავზე აზის



სერბეთი — პორტუგალია. კრიშტიანუ რონალდუ სერბ მცველებში ჩაიკარგა



ესპანეთი — ისლანდია. ფერნანდო მორიენტესი საკაცით გასაყვანი შეიქნა

## ამხანაგური მატჩები

**სალვადორი 0:2 ჰონდურასი**

0:1, 0:2 მ. მარტინესი (1, 66)

**სამხრეთ აფრიკა 0:1 ბოლივია**

0:1 ბოტერო (57)

**გერმანია 0:1 დანია**

0:1 ბენდტნერი (81)

**საფრანგეთი 1:0 ავსტრია**

1:0 ბენზემა (58)

### ახალგაზრდულები (U-21)

**რუმინეთი 1:0 პოლონეთი**

## გერმანია

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XXVII ტური

**ალენი 1:1 ჰერტა (მ)**

**გლადბახი (მ) 0:3 უნიონი**

**დიუსელდორფი 2:1 ლიუბეკი**

### სამხრეთ რეგიონალლიგა გადადებული მატჩი

**კარლსრუე (მ) 0:0 აალენი**

## იტალია

### სერია C1/B გადადებული მატჩი

**ტერნანა 2:0 სალერნიტანა**




უელსი — სან მარინო. კრეიგ ბელამიმ ვერც პენალტით გაიტანა

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი



ჩრდ. ირლანდია — შვედეთი. სტუმარი იოჰან ელმანდერი ირლანდიურ ჯუნგლებში

AFP



[illegible] — საბერძნეთი. თეოფანის გეკასის (№17) გუნდმა ჭუჭები ძლივს გატეხა

AFP



ანდორა — ინგლისი. გაგიკვირდებათ და, სტივ ჯერარდი ალბიონელთა ნანატრ გოლს ხაროზს

AFP



ჩეხეთი — კვიპროსი. დამცველთაგან გიგანტი იან კოლერი გამოირჩა

AFP



ირლანდია — სლოვაკეთი. კევინ დოილის და მარტინ შკრტელის ჰაეროდუელი



სლოვაკეთის ნაკრების უკომენტარო თავკაცი იან კოციანი

AFP



სლოვენია — ჰოლანდია. დირკ კაუტის ტიტები მასპინძლებზე მაღლა აჰტნენ

AFP


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჩვანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლელო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარიშვილი, ლია ბესელია, ხათუნა ბუხურაშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge